სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 165 (20506) ◆ ოთხშაბათი, 19 ივლისი, 1989 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სსრკ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებაში ნათქვამია:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს აფხაზეთში შექმნილი სიტუაციის გამო და ავალებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს განახორციელონ ოპერატიული და გადამწყვეტი ღონისძიებანი წესრიგის დასამყარებლად, სოციალისტური კანონიერების, მოსახლეობის საიმედო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო წინადადებას აძლევს საქართველოს სს და აფხაზეთის ასს რესპუბლიკებისაგან არჩეულ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებს მოუწოდონ თავიანთ ამომრჩევლებს მშვიდობიანი საშუალებებით გადაწყვიტონ ყველა სადავო საკითხი, და ამისათვის იხელმძღვანელონ [illegible] ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა ხალხების მეგობრობის პრინციპებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო საჭიროდ მიაჩნია დაუყოვნებლივ აღადგინონ მოძრაობა ამიერკავკასიის რკინიგზაზე, რათა ალიკვეთოს არანორმალური მდგომარეობა, რომელიც ხელს უშლის მოსახლეობის მომარაგებას, საწარმოთა სტაბილურ მუშაობას, დასასვენებლად მშრომელთა გამგზავრებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მოუწოდებს აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მოქალაქეს — აფხაზებს, ქართველებს, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ სტაბილური გახდეს ვითარება, დამყარდეს მშვიდობა და ნდობა, მიეცეთ ადამიანებს მშვიდად ცხოვრებისა და შრომის შესაძლებლობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

17 ივლისს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მუშაობა განაგრძო. სხდომის თავმჯდომარემ **ა. ი. ლუკიანოვმა** თქვა, რომ 15 ივლისს გაიმართა თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ უმაღლესი საბჭოს პალატების ყველა კომიტეტისა და მუდმივი კომისიის თავმჯდომარეები. თათბირზე მიმდინარეობდა სჯა-ბაასი სესიის შემდგომი მუშაობის შესახებ. თათბირის დავალებით სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა მისი შედეგები.

ამ კვირაში დამთავრდეს მთავრობის ფორმირება, შეიქმნას სახალხო კონტროლის კომიტეტი და დამტკიცდეს სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგია. კომიტეტებსა და კომისიებში შემუშავდეს პოზიციები უმაღლესი საბჭოსათვის ყრილობის მიერ მიცემული დავალებების შესრულების მიზნით მუშაობის ორგანიზაციის, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების საკითხში, რათა შემდგომში პალატების გაერთიანებულ სხდომაზე იმსჯელონ ამ საკითხებზე და მიიღონ შესაბამისი დადგენილებანი. გათვალისწინებულია აგრეთვე დაიწყოს დღის წესრიგში შეტანილი კანონპროექტების განხილვა.

ეს ინფორმაცია ცნობად არის მიღებული.

უმაღლესმა საბჭომ განაგრძო მთავრობის შემადგენლობის ჩამოყალიბება.

არის წინადადება, სსრ კავშირის მინისტრად დაინიშნოს ვ. ა. დურასოვი.

სიტყვა ეძლევა **ვ. ა. დურასოვს.** მან ჩამოაყალიბა თავისი პროგრამა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა მიმდინარე და პერსპექტიულ გეგმას სოციალური მიმართულება უნდა ჰქონდეს, ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებას ემსახურებოდეს.

თავისი მომავალი საქმიანობის პოლიტიკურ და პრაქტიკულ პლატფორმად კანდიდატმა დაასახელა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დადგენილება, რომლის შესრულება უნდა გახდეს სიტყვისა და საქმის ერთიანობის ნიმუში. ჩვენს საერთო მუშაობაში უნდა გავითვალისწინოთ მრავალი დეპუტატის მიერ წამოყენებული თეზისი ერთნახევარი წლის დროის ლიმიტის შესახებ, რომელიც გვეძლევა გარდაქმნის სოციალური ამოცანების რეალიზაციისათვის. ამისათვის საჭიროა ძალებისა და რესურსების განსაკუთრებული კონცენტრაცია. უკვე ახლა ყველა შრომითი კოლექტივი, სამინისტრო და უწყება მოვალეა გადასინჯოს თავისი გეგმები ახალი მოთხოვნების შესაბამისად, შეაწონასწოროს შესაძლებლობანი და მოთხოვნები. უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ეკონომიკის გაჯანსაღების საგანგებო ღონისძიებათა შემუშავება და რეალიზაცია.

ორატორმა შეშფოთება გამოთქვა პირველ ნახევარწლეულში სახალხო მეურნეობის განვითარების არახელსაყრელი შედეგების გამო. თუ არ განვახორციელეთ ამომწურავი ღონისძიებანი, თქვა მან, დანაკარგები შეიძლება აუნაზღაურებელი გახდეს და გაართულოს ეკონომიკის განმტკიცებისათვის გამიზნული მთელი მუშაობა. რადიკალური რეფორმა, როგორც სამეურნეო მექანიზმი, ტემპს აჩქარებს. ეკონომისტები, მეცნიერები, წარმოების მუშაკები უნდა გახდნენ თანამოაზრენი და ოპერატიულად გამოასწორონ დაშვებული შეცდომები. შრომითმა კოლექტივებმა გემო გაუგეს დამოუკიდებლობას და თავად გაერკვევიან, რომელი სამეურნეო მექანიზმი აძლევს მათ ხელს.

კანდიდატი შეეხო პრიორიტეტულ ამოცანებს, რომლებიც უნდა გადაწყდეს რთულ გარდამავალ პერიოდში, მათ შორის ინვესტიციების შემცირების, სურსათისა და სახალხო მეურნეობის საქონლის წარმოების ზრდის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, უმნიშვნელოვანესი სოციალური პროგრამების შესრულების, ეკოლოგიური სიტუაციის მოწესრიგების, რესურსდაზოგვის სტიმულირებისა და მეორეული რესურსების აქტიური გამოყენების გზით.

კანდიდატურის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები **ვ. მ. ეტილენი და ქ. ე. ივანოვი.**

ხმათა უმრავლესობით ვ. ა. დურასოვი დაამტკიცეს სსრ კავშირის მინისტრის თანამდებობაზე.

სხდომის **თავმჯდომარემ** აუწყა დამსწრეთ, რომ გაიმართა ჩარხმშენებლობის მრეწველობის საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელების, პარტკომების მდივნების, შრომითი კოლექტივების საბჭოების თავმჯდომარეებისა და მოწინავე მუშაკების თათბირი, რომელზეც მიიღეს მიმართვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსადმი და წინადადება, სსრ კავშირის ჩარხმშენებლობისა და საინსტრუმენტო მრეწველობის მინისტრის პოსტზე დაინიშნოს ნ. ა. პანიჩევი. ითქვა აგრეთვე, რომ ნ. ი. რიჟკოვმა გაითვალისწინა ეს სურვილი და დამატებით შეიტანა წინადადება ამ პოსტზე ნ. ა. პანიჩევის დანიშვნის შესახებ.

მთავრობის შემადგენლობაში პრეტენდენტის კანდიდატურა განიხილეს კავშირის საბჭოს მრეწველობის, ენერგეტიკის, ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარების საკითხთა კომისიის სხდომაზე და რეკომენდაცია გაუწიეს უმაღლეს საბჭოში.

ტრიბუნაზეა **ნ. ა. პანიჩევი.** როგორც პირველადი მანქანათმშენებლობა, თქვა მან, დარგი სახალხო მეურნეობაზე ძირითად გავლენას ახდენს ტექნოლოგიური მოწყობილობის პარკის თვისებრივი და რაოდენობრივი შემადგენლობის ფორმირების მეშვეობით. დღეისათვის შეიქმნა მოქმედი ლითონდამმუშავებელი მოწყობილობისა და სამუშაო ძალის რაოდენობის არახელსაყრელი შეფარდება. ჩარხების მნიშვნელოვანი ნაწილი ნაკლებმწარმოებლური და ხელით სამართავია.

კანდიდატმა ჩამოაყალიბა დარგში შესატანი ცვლილებების პროგრამა. შემუშავებულია წარმოებიდან მოძველებული მოწყობილობის მოხსნისა და ავტომატიზებული მოწყობილობის გამოშვების მკვეთრი ზრდის გზით მოწყობილობის სტრუქტურის ძირეული გადასინჯვის ძირითადი სტრატეგიული გეზი. პრეტენდენტმა გამოთქვა აზრი, რომ დარგში სერიოზული ცვლილებების შეტანა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საწარმო ნამდვილად დამოუკიდებელი იქნება და შეიქმნება პირობები შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებისათვის.

უწინარეს ყოვლისა უნდა დამთავრდეს საწარმოებში მუშაობის ახალი ეკონომიკური ფორმებისა და მეთოდების შემოღება, განვითარდეს ინტეგრაციისა და კოოპერაციის პროცესები, დარგის საწარმოებს, სხვა საწარმოებს შორის, აგრეთვე საზღვარგარეთის ფირმებთან ასოციაციებისა, კონსორციუმების ფორმით. უნდა შეიქმნას დარგობრივი კომერციული საინვესტიციო ბანკი.

სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, რომ განახლდეს შრომის მძიმე პირობების მქონე დამამზადებელი და სხვა საწარმოები, ეკოლოგიურად სუფთა გავხადოთ ისინი. თავდაცვითი დარგების კონვერსიის განხორციელებისას გამოთავისუფლებული სიმძლავრეები უნდა გამოვიყენოთ მეცნიერებატევადი სახეობის მოწყობილობის გამოსაშვებად.

ორატორმა უპასუხა კითხვებს. მისი კანდიდატურის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები **ა. კ. მილოსერდნი, ვ. ვ. მაგომედოვი, ი. ა. ნიკანოროვი, ვ. პ. ხარჩენკო და ა. ნ. დანილენკო.**

დეპუტატ **ე. ნ. აულხმკოვის** თხოვნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დაასახელა მიზეზები, თუ რატომ გადაწყვიტა დამატებით შეეტანა ნ. ა. პანიჩევის კანდიდატურა მთავრობის შემადგენლობაში. კვალიფიკაციით, მასშტაბური აზროვნებით, თქვა **ნ. ი. რიჟკოვმა**, პრეტენდენტი ღირსია მეთაურობდეს დარგს, რომელმაც მისი ხელმძღვანელობით გარკვეული ნაბიჯები გადადგა. თუმცა ნ. ა. პანიჩევის მიმართ სერიოზული პრეტენზიებიც გამოითქვა. მაგრამ, როცა დემოკრატიულ საფუძველზე მოვეთათბირეთ დარგის საწარმოებისა და პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, ამ დარგში მომუშავე სახალხო დეპუტატებს, გავითვალისწინეთ მათი აზრი, და კანდიდატურა გამოვიტანეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად.

დეპუტატ **ბ. ბ. ბლაევის** აზრის გათვალისწინებით, რომელმაც დასვა საკითხი, რომ კონვერსიის რეზერვები გამოიყენონ ჩარხმშენებლობის საქმის არსებითი გაუმჯობესებისათვის, **ნ. ი. რიჟკოვმა** დაადასტურა, რომ დაგეგმილია დარგს გადაეცეს მთელი რიგი თავდაცვითი ქარხნები.

ხმათა უმრავლესობით დეპუტატი ნ. ა. პანიჩევი დანიშნეს სსრ კავშირის ჩარხმშენებლობისა და საინსტრუმენტო მრეწველობის მინისტრად.

ა. ი. ლუკიანოვმა თქვა, რომ მთელი რიგი დეპუტატები ითხოვენ დაუბრუნდნენ სსრ კავშირის წყალსამეურნეო მშენებლობის მინისტრის პოსტზე დასახელებული პ. ა. ფოლად-ზადეს კანდიდატურის განხილვას.

ნ. ი. რიჟკოვმა მხარი დაუჭირა ამ წინადადებას.

განხილვის მონაწილე დეპუტატებმა **კ. სალიკოვმა, ა. თ. ვეპრევმა, ბ. ნ. ელცინმა** და სხვებმა სხვადასხვა მოსაზრება გამოთქვეს ამ საკითხზე.

ხმის უმრავლესობით სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება არ განიხილოს აღნიშნული კანდიდატურა.

სხდომის **თავმჯდომარემ** დეპუტატებს გააცნო სხვა საკითხები, რომლებიც აღიძრა მთავრობის ფორმირებასთან დაკავშირებით.

უმაღლესი საბჭოს სახელზე მოვიდა ცალკეული დეპუტატებისა და კულტურის მოღვაწეების მრავალი დეპეშა სსრ კავშირის კულტურის მინისტრის პოსტზე ვ. გ. ზახაროვის კანდიდატურის გამო, ვინაიდან მთავრობას ეს საკითხი არ შეუტანია სესიის განსახილველად, უმაღლესი საბჭო არ განიხილავს მას.

ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა სსრ კავშირის რკინიგზების მინისტრის პოსტზე პრეტენდენტის ნ. ს. კონარევის გამო. საკითხი ასევე არ განუხილავთ იმასთან დაკავშირებით, რომ იგი არ შემოუტანია მთავრობას.

სხდომის **თავმჯდომარემ** თქვა, რომ მთელ რიგ წერილებსა და დეპეშებში, რომელთაგან ბევრი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთაგან არის მიღებული, წამოყენებულია წინადადება დაუბრუნდნენ ვ. მ. კამენცევის კანდიდატურის განხილვას, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე იყო დასახელებული.

ამასთან დაკავშირებით **ნ. ი. რიჟკოვმა** კვლავ მოსთხოვა დეპუტატ ა. ა. სობჩაკს დაესაბუთებინა პრეტენზიები, რომლებიც ვ. მ. კამენცევს წაუყენა.

ა. ა. სობჩაკმა სიტყვა აიღო და დამსწრეთ შეახსენა, რომ მისი შენიშვნები ეხებოდა როგორც ვ. მ. კამენცევის წინანდელ საქმიანობას, ისე მის ოჯახურ ახლობლობას აპარატში, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს. ამასთან, თქვა ორატორმა, მე ვგულისხმობდი ყველა საგარეო-ეკონომიკურ უწყებას, რომლებიც სახელმწიფო საგარეო-ეკონომიკური კომისიის მეთაურს ექვემდებარება. მან დაასახელა საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტროს, თევზის მეურნეობის სამინისტროს, სავაჭრო-სამრეწველო პალატის იმ თანამშრომელთა მთელი რიგი გვარები, რომლებიც ნათესავებად ეკუთვნიან ზოგიერთ ყოფილ და ახლანდელ ხელმძღვანელს და წამოაყენა წინადადება შეიქმნას დეპუტატთა კომისია, რათა ყოველმხრივ განიხილონ საგარეო-ეკონომიკურ უწყებათა მუშაობა და კადრების შემადგენლობა.

მე მინდა, თქვა **ნ. ი. რიჟკოვმა**, გარკვეული სიცხადე შემოვიტანო. ვ. მ. კამენცევი პენსიაზე გადის, და ჩვენთვის არ არის სულ ერთი რა რეპუტაციით წავა იგი. მიმაჩნია, რომ დეპუტატ სობჩაკს არ წარმოუდგენია დღეს დამამტკიცებელი საბუთები, ასე რომ, მისი განცხადებანი ამხანაგ კამენცევის კანდიდატურასთან დაკავშირებით არ არის არგუმენტირებული. მთავრობის მეთაურმა მოიყვანა დოკუმენტები, რომლებიც უარყოფენ მტკიცებას, თითქოს ვ. მ. კამენცევს ჩაეშალოს თევზის მეურნეობის მუშაობა, აგრეთვე მონაწილეობა მიეღოს ეგრეთ წოდებულ „ოკეანის" საქმეში. ჩვენ, ხაზი გაუსვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, ობიექტურად უნდა მივუდგეთ ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ წევრს.

შემდეგ გამოვიდა დეპუტატი **ს. ნ. ჰაჯიევი.** მან გამოთქვა აზრი, რომ ა. ა. სობჩაკი პრინციპულად სწორია, მაგრამ არ არის სწორი იმ მხრივ, რომ თავისი პრეტენზიები დაუკავშირა კონკრეტულ კანდიდატურას — ვ. მ. კამენცევს. ფაქტები ამ პრეტენზიებს არ ადასტურებს. ამასთან დაკავშირებით ს. ნ. ჰაჯიევმა სესიას შესთავაზა განაცხადოს, რომ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს არ მიაჩნია, რომ ვ. მ. კამენცევი გარეულია საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის დარგთან დაკავშირებულ უწყება-სამინისტროთა სისტემაში ახლობელ-ნათესავთა მოწყობაში. მან აგრეთვე საჭიროდ ცნო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტმა ერთხელ კიდევ იმსჯელოს ვ. მ. კამენცევის კანდიდატურაზე და მთავრობის მეთაურთან ერთად წარმოადგინოს თავისი წინადადებანი.

სხდომის **თავმჯდომარემ** დეპუტატთა მოწოდებით მხარი დაუჭირა ამ თვალსაზრისს და წინადადება წამოაყენა გადასცენ საკითხი შესაბამისი კომიტეტის განსახილველად.

სიტყვას ცნობისათვის იღებენ მთავრობის წინა შემადგენლობის წევრები **ვ. გ. ზახაროვი** და **მ. ვ. გრამოვი.** მათ გააკრიტიკეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებსა და კომიტეტებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობის კანდიდატურების განხილვის წესი, ზოგიერთი დეპუტატთა ჯგუფის მხრივ კანდიდატებისადმი ულტიმატუმების წამოყენების პრაქტიკა, დააყენეს საკითხი, რომ საჭიროა შეიცვალოს დამოკიდებულება კულტურისა და მასობრივი სპორტის პრობლემებისადმი. ორატორებმა უარყვეს პრესის ზოგიერთი პუბლიკაცია, რომლებშიც, მათი აზრით, დამახინჯებულია მათი საკუთარი გამონათქვამები, და იმ უწყებათა საქმიანობის ფაქტები, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობდნენ.

დეპუტატებმა **ვ. ნ. სტეპანოვმა, მ. ბ. ამანოვამ, ა. ტ. ჯანასბაევმა, ი. დ. კობზონმა, ო. მ. სავოსტიუკმა, ვ. ა. ივაშკომ** და სხვებმა გამოთქვეს მთელი რიგი შენიშვნები და სურვილები სსრ კავშირის ახალი მთავრობის, ზოგიერთი დარგის, ცალკეული მინისტრის მიმართ და ხაზი გაუსვეს, რომ ახალმა მთავრობამ ახლებურად, ხალხის მოთხოვნებიდან გამომდინარე უნდა იმუშაოს. გამოითქვა აგრეთვე შენიშვნები მთავრობის ფორმირების პროცედურის გამო.

სსრ კავშირის მთავრობის ფორმირების დამთავრებასთან დაკავშირებით სესიაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა.

ნ. ი. რიჟკოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ გამოვიდა დეპუტატი **ვ. ი. მედიკოვი**, რომელმაც კუზბასელ ამომრჩეველთა თხოვნით გააცნო სესიას კუზნეცკის აუზის შახტებში შექმნილი ვითარება. ვ. ი. მედიკოვმა რეგიონის დეპუტატთა სახელით მოუწოდა მაღაროელებს შეწყვიტონ გაფიცვა, ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყოვლად დაუშვებელია გადაიქცეს იგი საერთო-საკავშირო გაფიცვად, ვინაიდან ეს, დეპუტატის თქმით, გარდაქმნის წინააღმდეგ მიმართული აქტი იქნება.

ილაპარაკა რა კუზბასში შექმნილ სიტუაციაზე, **ნ. ი. რიჟკოვმა** აღნიშნა, რომ იქ ნამდვილად დაგროვდა მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა. ზოგი მათგანი შეიძლება დაუყოვნებლივ გადაიჭრას ადგილზე. სხვები უნდა განვიხილოთ მთელი ქვეყნის მასშტაბით. გაფიცვის გაგრძელება, თქვა მან, მხოლოდ გააუარესებს მდგომარეობას, ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევს ეკონომიკის სხვა დარგებში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ თქვა, რომ მ. ს. გორბაჩოვთან ერთად მოაწერა ხელი კუზბასელი მეშახტეებისადმი მიმართვას, რომელშიც მაღაროელებს მოუწოდებენ მოუხმონ გონიერებას, აცნობა დეპუტატებს, რომ კუზბასში გაემგზავრა სპეციალური კომისია, რომელსაც სათავეში უდგას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ნ. სლიუნკოვი. კომისიამ ადგილზე უნდა განიხილოს პრობლემათა მთელი კომპლექსი მათი შემდგომი გადაწყვეტის მიზნით.

სესია გადადის სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგიის დამტკიცების საკითხის განხილვაზე.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მთავარ სახელმწიფო არბიტრს **ი. გ. მატვეევს**, რომელმაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარადგინა კანდიდატურები სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის ხელმძღვანელთა და კოლეგიის წევრთა პოსტებზე, უპასუხა დეპუტატთა კითხვებს.

დეპუტატებმა **ი. ხ. კალმიკოვმა, ხ. გ. ლუშჩიკოვმა** და **ვ. ი. ოგარკოვმა** ჩამოაყალიბეს თავიანთი აზრი სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის ფუნქციებისა და სტრუქტურის, წამოყენებული კანდიდატურების შესახებ.

ხმის უმრავლესობით სსრ კავშირის მთავარი სახელმწიფო არბიტრის პირველ მოადგილედ დაინიშნა ვ. ნ. ისაიჩევი, მოადგილეებად — ვ. ვ. გრებენიკოვი და ი. მ. ოსტანი. სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგიის წევრებად დამტკიცეს ა. ა. არიფულინი, კ. ი. დევიატკინი, ვ. ი. ჩაიკა.

უმაღლესი საბჭო იწყებს სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის არჩევას.

ტრიბუნაზეა კომიტეტის თავმჯდომარე **გ. ვ. კოლბინი**, რომელმაც მოკლედ დაახასიათა სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის შემოთავაზებული შემადგენლობა. მან, კერძოდ, თქვა, რომ ჯერჯერობით არ აახლებს სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტში ზოგიერთი პოსტის კანდიდატურებს. გ. ვ. კოლბინმა უპასუხა დეპუტატთა შეკითხვებს.

შემადგენლობის განხილვისას სახალხო კონტროლის კომიტეტის მისამართით შენიშვნები და წინადადებები გამოთქვეს დეპუტატებმა **ვ. ა. ლოგუნოვმა, ხ. ი. ნაუმოვმა, ა. გ. მუხთაროვმა და ნ. დ. პივოვაროვმა.**

ხმების უმრავლესობით სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ აირჩიეს ე. ა. ვარნაჩევს, მოადგილეებად — ვ. პ. ბაჟენოვს, ა. ი. ილიენკოვს, ვ. ნ. კულიკოვს და ა. ვ. რომანცოვს. სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის წევრებად დამტკიცებული არიან აგრეთვე ვ. გ. ვოლჩიხინი, ნ. ნ. გლებოვა, ვ. პ. დენისოვი, პ. ე. ღიკარევი, ლ. დ. კაზაკოვი, ე. ა. კოჩერინი, ო. რ. ლაცისი, ი. ვ. ლუკაუსკასი, ა. ვ. მერზლენკო, გ. მ. ნიკიფოროვი, ვ. ნ. სევრუკი, მ. ნ. სტუდენიკინა.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სარატიფიკაციოდ წარმოადგინა მთელი რიგი საერთაშორისო აქტები, რომლებიც ხელმოწერილია საბჭოთა კავშირის სახელით. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ასეთი დოკუმენტების რატიფიკაციას კონსტიტუცია არ ითვალისწინებს. მათ გამო გადაწყვეტილებებს უნდა იღებდეს სესია.

შემოიტანეს წინადადება, რომ ეს აქტები წინასწარი განხილვისათვის გადაეცეს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტს და საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იყოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხვა კომიტეტები და პალატების მუდმივი კომისიები.

ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა **ვ. ი. ოგარკოვმა, ს. მ. რიაბჩენკომ, ა. ვ. იაბლოკოვმა, ბ. ნ. ელცინმა, ა. ს. ძასოხოვმა.**

დეპუტატთა ჯგუფის თხოვნით სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმა **ვ. ვ. ბაკატინმა** დამსწრეთ გააცნო აფხაზეთის უკანასკნელი დღეების ამბები.

სესიამ აფხაზეთის ამბების გამო მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება, რომელსაც ცალკე ვაქვეყნებთ.

დეპუტატთა თხოვნით სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის მინისტრმა **ა. ნ. ვოლკოვმა** მათ გააცნო აეროფლოტის მიერ სახალხო დეპუტატთა მომსახურების წესი.

ცნობისათვის სიტყვა აიღო დეპუტატმა **ვ. გ. რაზუმოვსკიმ.** მან თქვა, რომ გაუგებრობის გამო საგაზეთო ანგარიშებში დასახელებული იყო სსრ კავშირის განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე გ. ა. იაგოდინის კანდიდატურის განხილვის მონაწილედ. ამასთან დაკავშირებით მან ჩამოაყალიბა თავისი თვალსაზრისი ამ უწყების წინაშე მდგომი პრობლემების გადაწყვეტის გზებზე.

სხდომა დამთავრდა.

18 ივლისს გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებისა და კომისიების სხდომები.

პალატების გაერთიანებულ სხდომაზე შეიკრიბებიან 19 ივლისს. (საქინფორმი).

აღვადგინოთ მშვიდობა და სიმშვიდე აფხაზეთში

ამ დღეებში ჩვეულებრივზე გაცილებით ნაკლები ხალხია სოხუმის ქუჩებში. ჯერ კიდევ არ მუშაობს ქალაქის ტრანსპორტი. ყველაფერს მღელვარებისა და შეშფოთების ბეჭედი აზის..

განსაცდელის მძიმე ჟამი დაუდგათ ჩვენს ხალხებს. ასეთი სიტყვებით იწყება მიმართვა აფხაზი და ქართველი ხალხებისადმი, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მთელი მოსახლეობისადმი, რომლითაც 16 ივლისს საღამოს ადგილობრივი ტელევიზიით გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გუმბარიძე და საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ხიშბა.

საფრთხეშია ის, რაც მისხალ-მისხალ არის დაგროვილი მრავალი თაობის აღმშენებლობითი ენერგიით. საფრთხეშია ყველაფერი, რაც ყველაზე წმინდაა — კერა, ოჯახი, ბავშვები. უნდობლობის ჩრდილი ჩამოწვა ადამიანთა შორის. გონება აიმღვრა, თუ ძმამ ხელი აღმართა ძმაზე, მეზობელმა — მეზობელზე, თუ თვალები დაბინდა ბრმა მტრობამ. არ ყოფილა და არც არის ამის საფუძველი. ნებისმიერი ცდები — ძალით გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა, მხოლოდ აღრმავებს წინააღმდეგობებს. ჩვენი შთამომავლები, რომლებმაც ერთად უნდა იცხოვრონ და იშრომონ ამ კურთხეულ მიწაზე, არასოდეს არ გვაპატიებენ ამას.

ორივე ხელმძღვანელმა აფხაზეთის მოსახლეობას მოუწოდა ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი ვითარების ნორმალიზაციას, ნუ აჰყვებიან ბრმა ემოციებსა და პროვოკაციებს, თავიდან აიცილონ სიტუაციის შემდგომი გართულება, ყველგან აღადგინონ მშვიდობა და სიმშვიდე.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში პოლიტიკური და ოპერატიული ვითარების გამწვავების გამო ახლა მუშაობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სპეციალური კომისია, რომელიც გულმოდგინედ იძიებს ეროვნებათშორის ნიადაგზე კონფლიქტების წარმოშობის გარემოებებსა და მიზეზებს, აქტიურ ძალისხმევას მიმართავს მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის, კოორდინაციას უწევს ყველა ორგანოს საქმიანობას. ამჟამად საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოები სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს წესრიგის დაცვის ძალების მონაწილეობით აკონტროლებენ სოხუმსა და ახლომდებარე რაიონებში შექმნილ მდგომარეობას. შემუშავებულია და ხორციელდება სახალხო მეურნეობის ნორმალური ფუნქციონირების აღდგენის პირველი რიგის ღონისძიებათა გეგმა. ყველაფერს ღონობენ პურის ქარხნების, სასურსათო მაღაზიების, წყალსადენის, ენერგოსისტემებისა და იმ სხვა ობიექტების შეუფერხებელი მუშაობისათვის, რომლებსაც უპირველესი მნიშვნელობა აქვს.

აფხაზეთში მყოფი გ. გ. გუმბარიძე, ო. ე. ჩერქეზია და ნ. ა. ჭითანავა რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები პარტიის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან ვ. ფ. ხიშბასთან და სხვა ამხანაგებთან ერთად ფართო ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწევიან პარტიულ აქტივს, ინტელიგენციის, მუშათა კლასისა და გლეხობის წარმომადგენელთა შორის. გაიმართა შეხვედრების მთელი სერია მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფთან, რომელთა დროს ეძებდნენ კონსტრუქციულ გადაწყვეტათა გზებს დაძაბულობის შენელებისათვის. აღინიშნა პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის სერიოზული ხარვეზები აფხაზეთის ასსრ მრავალი ხელმძღვანელი ორგანოს ინერტულობა და უინიციატივობა.

ყოველდღიურად გ. გ. გუმბარიძე მართავს თათბირებს, რომლებშიც მონაწილეობენ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების სარდალი ვ. ი. შატალინი, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ პროკურატურებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მუშაკები, პარტიული და სამეურნეო აქტივის, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების წარმომადგენლები.

ცხოველი კონტაქტები ადამიანებთან, შრომით კოლექტივებთან, მოსახლეობის ოპერატიული, უშუალო ინფორმირება საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ ჭორების გავრცელება, უკეთ გავერკვეთ ვითარებაში, მივიღოთ რაციონალური გადაწყვეტილებანი, აღვადგინოთ ნდობა. ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა სოხუმის სალოკომოტივო დეპოს კოლექტივთან 16 ივლისს გამართულმა რესპუბლიკის ხელმძღვანელთა შეხვედრამ, რომელმაც გვიან ღამემდე გასტანა. ათობით საჭირბოროტო კითხვა, პასუხი და მათი განმარტება დაწყებული დიალოგის საფუძველი გახდა, რამაც შესაძლებლობა მისცათ უფრო ფხიზლად შეეფასებინათ სიტუაცია, გამოავლინა ბევრი ფაქტი. ამავე მიზანს ემსახურებოდა მოსახლეობასთან საუბრები სოხუმის ქუჩებში. მათ ცხადყვეს, რომ ავტონომიური რესპუბლიკის მუშათა კლასი, გლეხობა, ინტელიგენცია დაინტერესებული არიან ცხოვრების ჩვეული რიტმის აღდგენით, პრინციპულად გმობენ კონფლიქტებს ეროვნებათშორის ნიადაგზე.

17 ივლისს ანალოგიური საუბრები და შეხვედრები გაიმართა ოჩამჩირის რაიონში, სადაც იყვნენ გ. გ. გუმბარიძე, ნ. ა. ჭითანავა, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, ვ. ფ. ხიშბა და სხვა ამხანაგები. განსაკუთრებით რთული ვითარება შეიქმნა ოჩამჩირისა და გალის რაიონების შესაყარზე, სადაც მდინარე ღალიძგის ხიდზე შეიკრიბა დიდძალი ხალხი, რომელიც შეშფოთებული იყო აფხაზ და ქართველ მოსახლეობას შორის მომხდარი შეტაკებათა გამო. გ. გ. გუმბარიძემ მათ აღუთქვა, რომ ვითარებას სოხუმსა და მიმდებარე სოფლებში მთლიანად მართავენ პარტიული, საბჭოთა და სამართალდაცვითი ორგანოები. წარმოებს გამოძიება, ახორციელებენ მოსახლეობის დაცვის ამომწურავ ღონისძიებებს, რისთვისაც არის საჭირო ძალები და საშუალებები. მან გააფრთხილა, რომ ერიდონ შესაძლო გართულებებს. ორივე რაიონის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მზად არიან აქტიურად დაუჭირონ მხარი წესრიგის დამყარებისა და ახალი კონფლიქტების თავიდან აცილების ღონისძიებებს.

შემდეგ გალში გ. გ. გუმბარიძე გამოვიდა ცენტრალურ მოედანზე შეკრებილი ათასობით ადამიანის წინაშე, მტკიცედ აღუთქვა, რომ უმსგავსობათა ვერც ერთი წამქეზებელი და [illegible] ისინი, ვინც ასე თუ ისე აქეზებს მათ, ვერ აიცილებენ თავიდან მკაცრ იურიდიულ და პარტიულ პასუხისმგებლობას.

იმავე დღეს საღამოს აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროში გაიმართა რესპუბლიკისა და სამართალდაცვითი ორგანოების ხელმძღვანელთა თათბირი, რომელზეც ერთხელ კიდევ დაზუსტდა ვითარების ნორმალიზაციისათვის შემდგომი მოქმედების გეგმა, გამოითქვა აზრი, რომ საჭიროა უფრო მეტად იყოს შემოწმებული და აწონ-დაწონილი თითოეული გადაწყვეტილება, რადგან ვითარება ავტონომიურ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დაძაბული და აფეთქებასაშიშია.

ამას აღრმავებს ზოგიერთი შემთხვევის ტენდენციური განმარტება, გავრცელებული ყოველგვარი ჭორები, ყალბი ინფორმაციები. მაგალითად, გაავრცელეს აშკარა ჭორი იმის შესახებ, თითქოს ექსტრემისტებმა „მოიტაცეს" ...ბავშვებით სავსე რკინიგზის მთელი შემადგენლობა და გაუსწორდნენ მათ. ამის შედეგად, ამგვარი ცნობის მთელი უსაფუძვლობისა და უსუსურობის მიუხედავად, უსიამოვნო ექსცესი მოხდა გალის რაიონში.

ამიტომ დღეს უაღრესად საჭიროა თავშეკავება, სიფხიზლე და სიდინჯე, გონიერება და საღი აზრი. ვერავითარი პროვოკაცია ვერ შეუშლის ხელს ქართველ და აფხაზ ხალხებს თვითონ, საკუთარი ძალებით გამოძებნონ საერთო ენა, დამოუკიდებლად, კოლეგიურად და კონსტრუქციულად გადაჭრან ყველა არსებული პრობლემა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება

აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში კვლავ უაღრესად რთული ვითარებაა. აფხაზ და ქართველ მოსახლეობას შორის ისევ მოხდა შეტაკებანი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, რის შედეგად არიან დაჭრილები.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, გუდაუთის რაიონის დაბა ფსირცხის მიდამოებში აფხაზებმა აყარეს 20 მეტრი რკინიგზის ლიანდაგი. მუშებმა უარი თქვეს შეეკეთებინათ გზა. გაფიცული არიან სოხუმის სალოკომოტივო დეპოს ბრიგადებიც. ამის შედეგად თბილისისა და სოხუმის სადგურებში დგას 18 სამგზავრო და 48 სატვირთო მატარებელი. საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებში მომავალი ბევრი მატარებელი მისადგომებზეა გაჩერებული. ამის გამო ბევრი მოაგარაკე ვერ ჩასულა დასასვენებელ სახლებში, სანატორიუმებში, ვერ დაბრუნებულა შინ, თავის ოჯახში. 17 ივლისს შინაგანი ჯარების სამხედრო მოსამსახურეთა ძალებით რკინიგზის დაშლილი მონაკვეთი აღადგინეს, მაგრამ მოძრაობა კვლავინდებურად შეზღუდულია.

გალის და ოჩამჩირის რაიონებში, ტყვარჩელსა და სოხუმში არ ფუნქციონირებდა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ბევრი ობიექტი, ტრანსპორტი, ზოგიერთი ქალაქისა და დასახლებული პუნქტის გარეუბნებში გამოიყვანეს შეიარაღებული მეპიკეტეები, აღმართეს დაბრკოლებანი.

გრძელდება მოქალაქეთა მასობრივი თავშეყრა გულრიფშის, ოჩამჩირის და გალის რაიონებში და ქალაქ ტყვარჩელში, სადაც ხალხს მოუწოდებენ აქტიურად იმოქმედონ, ხდება სხვადასხვაგვარი ექსცესები ეროვნებათშორის ნიადაგზე. ვითარებას მნიშვნელოვანწილად ამძაფრებს ნაირნაირი ხმები და ჭორები. აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამორიგეო ნაწილმა მიიღო 62 ასეთი ცნობა, რომლებსაც სპეციალურად შექმნილი ჯგუფები ამოწმებენ. აღნიშნული ხმების უმრავლესობა არ დადასტურებულა.

გულრიფშის რაიონის მცხოვრებთა ჯგუფმა ხელში ჩაიგდო სახელმწიფო ავტოინსპექციის საგუშაგო სოფელ მაჭარაში, თანაც მილიციის თანამშრომლებს წაართვა ცეცხლსასროლი იარაღი. მიმდინარეობს გამოძიება და ძებნა. დაბა აგუძერაში ქუჩებში დგანან შეიარაღებულ პირთა პიკეტები, იყო შემთხვევები, როდესაც ისინი მცხოვრებთა ბინებში შედიოდნენ, ვითომდა ცეცხლსასროლი იარაღის საძებნელად.

იყო რამდენიმე ცდა, შეჭრილიყვნენ გულრიფშის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით, მაგრამ რაიგანყოფილების თანამშრომლებმა თავიანთი ძალებით მოიგერიეს.

მკვეთრად გამწვავდა ვითარება გალის რაიონში. აქ მოეწყო მიტინგი 10 ათასზე მეტი კაცის მონაწილეობით. მიტინგზე გამოცხადებულმა პროვოკაციულმა ცნობებმა ქართველი მოსახლეობის ვითომდა მრავალრიცხოვანი მსხვერპლის შესახებ ააფორიაქა ხალხი, რამაც გამოიწვია მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, ჩაამსხვრიეს საქართველოს კომპარტიის გალის რაიკომის შენობის მინები, შეამტვრიეს რაიკომის კარი.

ოჩამჩირის რაიონში ეროვნებათშორის ნიადაგზე მიმდინარე მრავალრიცხოვანი შეტაკებები გადაიზარდა სროლაში, რომელიც სოფლებში მერკულასა და ჯგალში ატყდა. არიან დაჭრილნი. მიმდინარეობს ძებნა და გამოძიება.

კვლავ მწვავე ვითარებაა ქ. სოხუმში, სადაც გრძელდება მცირერიცხოვანი შეტაკებანი. შეიარაღებულმა მეპიკეტეებმა ქუჩებში აღმართეს დაბრკოლებანი, იყო მიმავალი მანქანებისათვის ცეცხლის დაშენის შემთხვევები.

18 ივლისს სოხუმის აეროპორტის წინ მოედანზე შეტაკების თავიდან აცილებისას მილიციის თანამშრომელმა სატაბელო იარაღის შემთხვევითი გასროლით მუცლის არეში დაჭრა მოქალაქე ქ. მიმდინარეობს გამოძიება.

17 ივლისს პირთა ჯგუფმა სცადა გაეჩერებინა ენგურჰესის აგრეგატები, რის შედეგადაც შეწყდა ელექტროენერგიის მიწოდება რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონებისათვის, სამართალდამცველმა ორგანოებმა დროულად აღადგინეს წესრიგი. მიღებულია ზომები ჰიდროელექტროსადგურის დაცვის გასაძლიერებლად.

მილიციის თანამშრომლებმა დააკავეს მოქალაქე ქ. აგრბა, „აფხაზმშენის" ტრესტის ავტოსატრანსპორტო კანტორის დირექტორი, რომელსაც ჩამოართვეს უცხოური მარკის პისტოლეტი 22 საბრძოლო ვაზნითა და თოფი 240 ვაზნითურთ. მიმდინარეობს გამოძიება.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ქ. ზუგდიდში ხელში ჩაიგდეს საგამოძიებო იზოლატორი, რის შედეგადაც გაიქცა განსასჯელთა ნაწილი. 18 ივლისისათვის გაქცეულთაგან დაბრუნებულია 29 კაცი, სულ მასობრივი არეულობის შედეგად 15-17 ივლისს საავად-

(დასასრული მე-4 გვ.)

პრაქტიკული მოქმედების რეალიზმი

ნ. ი. რიჟკოვის საბოლოო სიტყვა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე

პატივცემულო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წევრებო!

ნება მიბოძეთ, ახლად შექმნილი ქვეყნის მთავრობის სახელით მადლობა მოგახსენოთ პატივისათვის — სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს პოსტებზე დამტკიცებისათვის. დიდი მადლობელი ვართ, რომ მთავრობის წევრებმა მიიღეს ნდობის ნამდვილი მანდატი. ჩვენ მას გავამართლებთ პრაქტიკული საქმეებით ჩვენი დიადი ქვეყნისა და მოქალაქეთა ინტერესებისათვის.

სავსებით შეგნებული გვაქვს, რომ საქმიანობას ვიწყებთ ქვეყნისათვის რთულ და გარდამტეხ დროს. სწორედ ამიტომ ხალხს უფლება აქვს მთავრობისაგან ელოდოს მტკიცე მოქმედებას სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსთან ერთად, მასშტაბურ და დაძაბულ მუშაობას გარდაქმნის პროცესების მკვეთრი დაჩქარების უზრუნველყოფისათვის, უკვე უახლოეს წლებში კონკრეტულ პოზიტიურ, პრაქტიკულ შედეგებზე გასვლისათვის ეკონომიკაშიც, სოციალურ სფეროშიც, საქმიანობის ყველა სხვა დარგშიც.

მთავარი მიზანი ნათელია — საჭიროა წინ გაჭრა, რათა თვისებრივად შევცვალოთ საბჭოთა ადამიანების ცხოვრება. მაგრამ ეს შეუძლებელია, თუ არ გვექნება ეკონომიკურად მძლავრი სახელმწიფო, რომელიც ჩვენმა საზოგადოებამ უნდა შექმნას.

ასეთია ამოცანა, რომელიც საფუძვლად უძევს მომავალ საქმიანობას. იგი გვავალებს კიდევ უფრო აქტიურად და ენერგიულად ვიბრძოლოთ საერთო საქმისათვის — გარდაქმნის შეუქცევადობისათვის, ქვეყნის მოქალაქეთა მძლავრ მხარდაჭერაზე დაყრდნობით, რომელიც ასე მკაფიოდ ცხადყო სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე პოლიტიკური აქტიურობის უმაგალითო ამაღლებამ.

ახალი მთავრობის შექმნის გამო სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დამთავრებულმა კამათმა შეაჯამა უმნიშვნელოვანესი ეტაპის შედეგი კომისიებისა და კომიტეტების, აგრეთვე ჩვენი პარლამენტის პირველი სესიის მუშაობაში. მწვავე დისკუსიები, კონკრეტული საკითხები, მისწრაფება ღრმად ჩასწვდომოდნენ ეკონომიკასა და სოციალურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს, გამოეყენებინათ ყოველი შესაძლებლობა საკუთარი პოზიციის დასაზუსტებლად, დაინახათ მისდამი სახელმწიფოს ხელმძღვანელი პოსტების კანდიდატთა დამოკიდებულება — აი, ამ დღეების დამახასიათებელი თავისებურებანი. ყოველივე ეს შეიცავდა უდიდეს აზრსა და ისეთ სასარგებლო საწყისებს, რომლებმაც საბოლოო ანგარიშით ბევრი რამ შეიტანეს სახალხო დეპუტატთა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში კანდიდატთა ერთობლივი მუშაობის პირველი პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავებაში. ეს, ერთი მხრივ.

მეორე მხრივ, სახალხო დეპუტატთა გამოსვლებმა წარმოაჩინა ჩვენი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი პრობლემების მთელი ჭრილი. მათ სერიოზულად შეავსეს ბევრი რამ იმ გადაუდებელი საკითხების, მიზნებისა და ამოცანების ვრცელ წრეში, რომლებიც მთავრობამ უნდა გადაჭრას როგორც უახლოეს ხანში, ისე პერსპექტივაშიც და რომლებზეც დამოკიდებული იქნება სამეურნეო რეფორმის შემდგომი მიმდინარეობა და საქმის ვითარება ეკონომიკაში. ამასთან პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ უფრო მკაფიო გახდა ამ საკითხების ურთიერთკავშირი, მათი ურთიერთგანპირობებულობა, მთელ რიგ შემთხვევებში კი წინათ მიღებულ გადაწყვეტილებებში შესწორებების შეტანის აუცილებლობა.

ამრიგად, ამ, თუმცა მცირე, მაგრამ უაღრესად ძვირფასი გამოცდილებით შეიარაღებულნი ვიწყებთ მთავრობის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მისი კომიტეტებისა და კომისიების ერთობლივი საქმიანობის ახალ ეტაპს. მთავარი მოთხოვნა მისდამი ახლა, ისევე როგორც პერსპექტივაში, არის — და თქვენ, როგორც ჩანს, დაეთანხმებით ამას — ყოველნაირად დავუქვემდებაროთ ერთობლივი მეცადინეობა საერთო მიზნებს, გამოვიჩინოთ მაქსიმალური სიზუსტე და ურთიერთპასუხისმგებლობა.

ამასთან დაკავშირებით, არ შევჩერდები ამ სესიაზე აღძრულ საკითხთა მთელ მრავალფეროვნებაზე, მით უმეტეს, რომ მათზე ლაპარაკი იყო მოხსენებაში მთავრობის ახალი შემადგენლობის შესახებ, და მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო მხოლოდ ერთ გარემოებას, რომელზეც მნიშვნელოვნწილად იქნება დამოკიდებული ყოველივე იმის წარმატებული რეალიზაცია, რასაც ვსახავთ. საქმე ის არის, რომ ამ ტრიბუნიდან გაისმა სიტყვები: „აღმასრულებელმა ორგანომ, ესე იგი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, ხელთ იგდო მთელი ძალაუფლება ქვეყანაში". ასეთი აზრი, როგორც ჩანს, ფართოდ არის გავრცელებული. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ყრილობაზეც და სესიის მუშაობის დროსაც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო ყველაზე მეტად გააკრიტიკეს. უნდა ითქვას, რომ ამ კრიტიკას უპირატესად ერთი მისამართი ჰქონდა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მართლაც ქვეყანაში ყველა საქმეს მართავს მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და იგი ყველაფრისათვის უნდა აგებდეს პასუხს.

ამიტომ განსაკუთრებით მინდა შევეხო მთავრობის უფლებამოსილებებს. ვფიქრობ, რომ ეს სწორედ ახლა უნდა ვიცოდეთ ნათლად.

უწინარეს ყოვლისა, როგორც ჩანს, უდავოა ის, რომ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის ეფექტიანობა, მისი გადაწყვეტილებებისა და სამართლებრივი აქტების განხორციელება ერთობ უშუალოდ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ქმედითი იქნება მისი უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო. აქ სავსებით მართლზომიერია ფორმულა: პარლამენტის ძალას უშუალოდ განაპირობებს იმის ძალა და კომპეტენტურობა, თუ პრაქტიკულად ვინ უზრუნველყოფს მისი საკანონმდებლო უფლებამოსილებების შესრულებას.

მაგრამ აქედან პირდაპირ გამომდინარეობს ისიც, რომ მთავრობა, უთუოდ, უფრო ეფექტიანად იმუშავებს, თუ საკანონმდებლო ხელისუფლება უზრუნველყოფს მისთვის სრულ და ზუსტ სამართლებრივ რეჟიმს. რა იყო დამახასიათებელი ცოტა ხნის წინანდელი წარსულისათვის? უწინარეს ყოვლისა ის, რომ ქვეყანა უნდა გვემართა და ჩვენ კი ამას კანონების უდიდესი დეფიციტის პირობებში ვახორციელებდით.

სამეურნეო კანონმდებლობა ასახავდა მოძველებული მიდგომებისა და გადაწყვეტილებების სტერეოტიპებს, ნეგატიურ გავლენას ახდენდა სახალხო მეურნეობაში, გარდაქმნის მიმდინარეობაზე. მაგრამ ყოველ ღონეს ვხმარობდით, რათა კონსტიტუციით მთავრობისთვის დაკისრებული აღმასრულებელი და განმკარგულებელი ფუნქციები მთლიანად და დროულად შესრულებულიყო.

ამის გათვალისწინებით, როგორც ჩანს, უნდა გავერკვეთ და სიცხადე შევიტანოთ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო და უმაღლესი აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების კომპეტენციის დონეთა საკითხში.

მართლაც, მთავრობა ხშირად ისეთ საკითხებს წყვეტდა, რომლებიც დღევანდელი წარმოდგენების თვალსაზრისით უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს გამგებლობას განეკუთვნება. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, აიხსნებოდა არა მთავრობის მისწრაფებით, მიეღო მეტი ძალაუფლება, არამედ იმით, რომ ერთ შემთხვევაში, როგორც უკვე ვთქვი, არ იყო შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირება სახელმწიფო საქმიანობის მთელ რიგ სფეროებში, მეორე შემთხვევაში კი საკითხები მოითხოვდა გადაუდებელ გადაწყვეტას იმ სიტუაციაში, როცა უმაღლესი საბჭოს სესიები წელიწადში სულ ორჯერ იმართებოდა ორი-სამი დღის განმავლობაში.

ყოფილი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს რეალური ხელისუფლების საფუძველზე მინისტრთა საბჭო სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად ამუშავებდა და ამტკიცებდა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანეს საკავშირო პროგრამებს: სასურსათო პროგრამას, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების, ენერგეტიკულ, კომპლექსურ პროგრამას, რსფსრ არაშავმიწანიადაგიან ზონაში მედიცინის, საავტომობილო გზების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის განვითარების სახელმწიფო პროგრამებს და ა. შ. თუ განვაგრძობთ ამ ნუსხას, შეიძლება ითქვას, რომ მთავრობა იღებდა გადაწყვეტილებებს სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი პრობლემის გამოც. მიგვაჩნია, რომ ყველა ეს და სხვა საკითხები, განსაკუთრებით მოქალაქეების უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებული საკითხები, უნდა არეგულიროს კანონმა. მინისტრთა საბჭო მათ გამო გადაწყვეტილებებს იღებდა მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეყანაში ამ გადაწყვეტილებებს არავინ არ იღებდა. ვფიქრობ, რომ, თუ საგულდაგულოდ გავაანალიზებთ მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას, გამოვლინდება ბევრი სხვა სფერო, რომლებშიც ზუსტად უნდა გავმიჯნოთ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება.

დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის გააქტიურებით, საკანონმდებლო ბაზის გაფართოებით მინისტრთა საბჭოს მუშაობა სულ უფრო დაუპირისპირდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებებს. პირიქით, იმის შესაძლებლობა, რომ დაემყაროს კანონის მთელ ძლიერებას, რომელსაც უმაღლესი იურიდიული ძალა აქვს, მთავრობის საქმიანობას მიანიჭებს თვისებრივად ახალ ხასიათს, რომელიც შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნებს. მთლიანად ვეთანხმები იმას, რაც გამომდინარეობს მრავალი სახალხო დეპუტატის გამოსვლიდან: სწორედ ახლა, ასეთი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდში, უაღრესად საჭიროა ეფექტიანად მოქმედი, რაციონალურად ორგანიზებული, მიზანმიმართული მთავრობა, რომელსაც ექნება ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოს ყველა უფლებამოსილება და მათ სრულად შეასხამს ხორცს.

ერთი სიტყვით, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების თანაფარდობის საკითხი მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც სპეციალურ დამუშავებასა და შესწავლას მოითხოვს. ცხადია, მას დაეთმობა სათანადო ყურადღება ყრილობის მიერ შექმნილი საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის დროსაც და ყრილობის დავალებით მთელი რიგი საკანონმდებლო აქტების მომზადების პერიოდშიც.

ამით მინდა დავამთავრო ამ თემაზე ლაპარაკი.

ამხანაგებო!

სახალხო დეპუტატთა ყრილობამ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ გააშუქეს ეკონომიკის და სოციალურ-კულტურული სფეროს განვითარებაში, ქვეყნის ცხოვრების სხვა დარგებში არსებული მეტად ბევრი უაღრესად რთული პრობლემა, რომლებიც უშუალოდ ეხება საბჭოთა ხალხის ინტერესებს. თვალნათლივ დავრწმუნდით, რამდენად მრავალწახნაგოვანია ამ პრობლემების მთელი სპექტრი. განვლილი სამი კვირის განმავლობაში დეპუტატების წინაშე, კაცმა რომ თქვას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეოხებით მთელი ხალხის წინაშე წარსდგა მართვის უმაღლესი რგოლის ათობით მომავალი ხელმძღვანელი, რომლებმაც წარმოადგინეს მომავალი საქმიანობის პროგრამები.

ამის შედეგად შეიქმნა საკმაოდ ვრცელი სურათი იმისა, თუ როგორია ჩვენი ეკონომიკა დღეს და რა უნდა ვაკეთოთ.

საერთო თვალსაზრისით ის დიალოგი, რომელიც გაიმართა ამ დღეებში სესიაზე, დეპუტატთა მრავალი შეკითხვა და მიმართვა, — უნდა მოგახსენოთ, რომ მარტო პირადად მე მივიღე დაახლოებით 700 შეკითხვა და მიმართვა — შეიძლებოდა ისინი სამ ნაწილად დაგვეყო.

პირველი ის არის, რომ უნდა შესრულდეს მიმდინარე, გადაუდებელი ამოცანები, ყველა ისინი საგულდაგულოდ უნდა განვიხილოთ და შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად გადავჭრათ, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც უშუალოდ ეხება საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას. უნდა გაცნობოთ, რომ ერთ-ერთი ასეთი პრობლემის გამო, რომლის თაობაზეც მეტად მწვავე სჯა-ბაასი გაიმართა ყრილობაზეც და სესიაზეც, რამდენიმე დღის წინათ მიღებულია გადაწყვეტილება საზღვარგარეთ შევისყიდოთ 500 მილიონი მანეთის დეფიციტური სამკურნალწამლო პრეპარატები. ვფიქრობ, თქვენთვის გასაგებია, რომ ახლა, ქვეყნის ახლანდელი სავალუტო მდგომარეობის, საგარეო ეკონომიკური დავალიანების ზრდის, ექსპორტის შექმნილ სტრუქტურაზე საზოგადოების მწვავე რეაქციისა და ამის ხარჯზე სავალუტო სახსრების მიღების პირობებში ეს არ იყო იოლი გადასაწყვეტი. მით უმეტეს, რომ შეიძლება, თუ ვინმე ისურვებს, მთავრობის გაკრიტიკება ამ ნაბიჯისათვისაც.

გამართული დიალოგის მეორე ნაწილი მოიცავს პერსპექტიული ხასიათის ყველა პროგრამას, რომლებიც მთლიანად ეხება როგორც მთავრობის საქმიანობას, ისე მისი კაბინეტის ცალკეულ წევრებს, რომლებითაც ისინი აქ გამოვიდნენ. მთავარი ამოცანა ახლა ის არის, რომ ყველა ეს პროგრამა საფუძვლად დაედო თითოეული მინისტრისა და სახელმწიფო კომიტეტის ყოველი თავმჯდომარის მომავალ საქმიანობას. საჭიროა, რომ ისინი პრაქტიკულად განხორციელდეს და არ დარჩეს მხოლოდ ამ ტრიბუნიდან წარმოთქმულ სიტყვად.

და ბოლოს, ის პროგრამა, რომელიც გამომდინარეობს სესიაზე გამართული უაღრესად მნიშვნელოვანი საუბრიდან, ეხება, ხატოვნად რომ ვთქვათ, ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლების გლობალურ პრობლემებს. ყველა ეს პრობლემა რეალურად არსებობს და უთუოდ გადასაჭრელია. მაგრამ სწორედ აქ შემოწმდება უმეტესწილად სახელმწიფო მართვის სიბრძნე. ვფიქრობ, საერთო აზრისა ვართ იმაში, რომ ყველა ამ პრობლემის გადაჭრა ერთი ხელის დაკვრით შეუძლებელია. ეკონომიკაში არსებული სიტუაცია ისეთია, რომ ფართო ფრონტით ამისათვის ბრძოლა ნიშნავს, ქვეყანაში შეიქმნას უმძიმესი მდგომარეობა. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, ზუსტად უნდა განვსაზღვროთ პრიორიტეტები, ავწონ-დავწონოთ ჩვენი შესაძლებლობანი და ამის საფუძველზე გავითვალისწინოთ რეალური მიზნები და მიჯნები. ეს არის მთავარი.

თვით ცხოვრებით ნაკარნახევ ასეთ მიდგომას საფუძვლად უძევს ის, რომ ჩვენ გვაქვს მკაცრად განსაზღვრული, შემოფარგლული მატერიალური და ფინანსური რესურსები. ისინი მაქსიმალური სარგებლობით უნდა მოვახმაროთ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. მაგრამ ეს ამოცანა იმდენად მრავალსახოვანი და მრავალფეროვანია, რომ აქ პრიორიტეტები, რომლებზეც ვილაპარაკე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ერთი სიტყვით, ჩვენ გვჭირდება, ამ პრიორიტეტების დასახვა, უნდა გვქონდეს ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ რის გარეშე ვერ გავალთ დღის ფონს, რისი გადაჭრა შეიძლება და საჭიროა ხვალ, და რა უნდა გადავდოთ უფრო შორეული პერსპექტივისათვის.

უნდა მოგახსენოთ, რომ დღეს ამ პრიორიტეტების წარმოჩენა ნაადრევი და, ალბათ, წინდაუხედავი საქციელიც იქნება. ეს უნდა განახორციელოს საგულდაგულო ერთობლივი დამუშავების შემდეგ უმაღლესმა საბჭომ და მთავრობამ. მაგრამ მაინც უნდა გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ მთავარი პრიორიტეტი წარმოების მატერიალურ სფეროში სოფელს ეკუთვნის. აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებაში ჩამორჩენა და, როგორც ამის შედეგი, სასურსათო პროდუქტების განუწყვეტელი ნაკლებობა ჩვენი მთავარი გასაჭირია. აქ არის გასაღები მრავალი პრობლემისა, რომლებიც სოციალურ დაძაბულობას ქმნის საზოგადოებაში. ჩვენ მოგველის დიდი ერთობლივი მუშაობა, რომელიც უკავშირდება სოფლის აღმავლობის იმ ღონისძიებათა რეალიზაციას, სახალხო დეპუტატთა ყრილობის დადგენილებიდან რომ გამომდინარეობს. ყოველივე ეს არსებითად გახდება პასუხისმგებლობის ის შინაარსიანი ნაწილი, რომელიც უნდა იკისრონ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ და ქვეყნის მთავრობამ. ქვეყანაში გაჩაღდა ალოობა, და ჩვენ ოპერატიულად უნდა გადავწყვიტოთ ყველა მიმდინარე საკითხი, მათ შორის სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომის ანაზღაურების საკითხიც. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ წარმატებით ავიღოთ მოსავალი, არ დავუშვათ პროდუქციის დანაკარგები. დღეს ეს მთავარია.

სავსებით გასაგებია, რომ ამასთან დაკავშირებით განსაზღვრულ ამოცანებსა და მიზნებს შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ სახალხო მეურნეობის ეფექტიანი მუშაობის საფუძველზე. აქედან გამომდინარეობს მთავარი — მოვახმაროთ ძალები აღმშენებლობას, და არ მოვუყაროთ მათ თავი მხოლოდ ეროვნული დოვლათის განაწილების მექანიზმის შემუშავებისა და რეალიზაციისათვის. ჩვენ უნდა შევქმნათ ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული პირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდის მყარად და დინამიკურად განვითარდეს სახალხო მეურნეობა, ყველა შრომითი კოლექტივი, ნაყოფიერად იმუშაოს ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ. მხოლოდ ასეთი პრინციპი უნდა გახდეს მეურნეობრიობის მთელი ლოგიკის საფუძველი, რომელიც მისაღები იქნება დღეს და მოგვცემს ხალხის მოლოდინის გამართლების შესაძლებლობას.

ჩვენ ბუნებრივი და ადამიანთა რესურსებით მდიდარი ქვეყანა ვართ, და გაცილებით უკეთ უნდა ვცხოვრობდეთ, ვიდრე ახლა ვცხოვრობთ. ბუნებრივია, დგება საკითხი, რატომ ვერ მივაღწევთ ამისათვის. რა არის მიზეზი? სრულიად ცხადია, რომ ეს ხალხის კი არა, ეკონომიკური და სამართლებრივი ურთიერთობის სისტემის ბრალია, რომელიც სახელმწიფოში ჩამოყალიბდა. სწორედ მის ძირეულ გარდაქმნას საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით უნდა მოახმარონ ძალისხმევა სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომაც და ქვეყნის მთავრობამაც.

რა თქმა უნდა, იმაში, რაც უნდა გავაკეთოთ, გადასალახავი გვაქვს ბევრი ისეთი ობიექტური სიძნელე, როგორიც არის მრავალი წლით მიშვებული ეკონომიკის სფეროები, რომლებიც ადამიანის მოთხოვნილებებს უნდა აკმაყოფილებდნენ, დაქანება ეკოლოგიური კრიზისისაკენ ქვეყნის მთელ რიგ რეგიონებში, მეურნეობრიობის მექანიზმის ზოგიერთი ელემენტის დაუხვეწაობა და მთელი რიგი სხვა სიძნელენი. მაგრამ არ შეიძლება არ ვთქვათ ისიც, რამდენად იზრდება ეკონომიკური რეფორმის გაღრმავებასთან დაკავშირებით, რაც პოლიტიკური ცვლილებებით დაიწყო სახელმწიფოში, დისციპლინის, ორგანიზებულობისა და წესრიგის განმტკიცების მნიშვნელობა ეკონომიკის ყველა სფეროში და მთლიანად საზოგადოებაში. ყოველივე ეს ბოლო ხანს რატომღაც მეორე პლანზე გადავიდა, ამოვარდა მრავალი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების თვალთახედვის არიდან. ამის შედეგად ის ნეგატიური პროცესები, რომლებიც ვითარდება ზოგიერთ დარგში, მხარეში, ოლქსა და რესპუბლიკაში, კიდევ უფრო ართულებს ქვეყნის მდგომარეობას. არ შეიძლება ამა თუ იმ შრომითი კოლექტივის მომწიფებული და სადავო საკითხები გადავწყვიტოთ ძალისმიერი მეთოდებით. ისინი უნდა წყდებოდეს ჯგუფური კონფლიქტების განხილვის შესახებ კანონის საფუძველზე, და ასეთი პროექტი უმაღლეს საბჭოს, როგორც იცით, წარედგინა.

ცხადია, რომ პოლიტიკურ, ეკონომიკურ სისტემაში, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში გარდაქმნები უნდა ეფუძნებოდეს მტკიცე დისციპლინას, ორგანიზებულობასა და წესრიგს, მთელი ძალების კონსოლიდაციას. ეს საკითხები ურთიერთდაკავშირებულია და სათანადო ყურადღებას მოითხოვს უმაღლესი საბჭოს და მთავრობის პრაქტიკულ მუშაობაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ამ სესიაზე დამტკიცების შემდეგ განიხილავს აქ აღძრულ ყველა საკითხს, ერთხელ კიდევ შეაფასებს და, უთუოდ, ჩამოაყალიბებს თავისი მოქმედების პროგრამას. რა თქმა უნდა, იმ სიტუაციის გათვალისწინებით, რომელიც ეკონომიკაში შეიქმნა, საჭირო იქნება ყურადღებით განვიხილოთ მთავრობის მუშაობის მთელი ორგანიზაცია სახალხო-სამეურნეო კომპლექსების სტრუქტურული აგებულება, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აპარატის შინაგანი სტრუქტურა.

ყოველივე ამას დაუყოვნებლივ უნდა მოვკიდოთ ხელი იმ რეალური პრაქტიკული მუშაობის ფარგლებში, რომლითაც უნდა დავიწყოთ ახლად შექმნილი მთავრობის პირველი ნაბიჯები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სესიაზე სოციალური სფეროს განვითარების საკითხებს. ეს ბუნებრივია, რადგან თითოეული საბჭოთა ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას უკავშირდება.

ამასთან დაკავშირებით გამოითქვა წინადადებანი, რომ ამაღლდეს ამ კომპლექსის მნიშვნელობა მთავრობაში. რა თქმა უნდა, იმას, რომ სწორად განგველაგებინა ძალები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმში, ჩვენ ძალიან გულმოდგინედ ვუდგებოდით. მინდა ვაცნობო სახალხო დეპუტატებს: ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ლ. ა. ვორონინი, საკავშირო სამინისტროებისა და რესპუბლიკების მიმდინარე, ოპერატიული საკითხების გადაწყვეტასთან ერთად, სერიოზულად მუშაობდეს სახალხო მოხმარების საქონლით სამომხმარებლო ბაზრის უხვად მომარაგების პრობლემებზეც. ასე რომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სოციალური განვითარების ბიუროს ამაში, რომ იტყვიან, მძლავრი მხარდაჭერა აქვს.

ცალკე მინდა შევეხო საკითხს, რომელიც სახალხო დეპუტატებმა აღძრეს ყრილობაზეც და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზეც. იმ პრობლემის გამო, რომლებიც ქვეყანაში კულტურის განვითარებას უკავშირდება. გასაგებია ის სერიოზული შეშფოთება, რომელიც გაისმა მთელ რიგ გამოსვლებში იმის გამო, რომ საჭიროა განმტკიცდეს ზნეობრივი საწყისები საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კულტურული მემკვიდრეობის წარუვალ ფასეულობათა შესახებ, რომელთა დაკარგვა თუნდაც მცირეოდენში გამოუსწორებელი იქნებოდა მთელი საზოგადოებისათვის, რომ არის ნაკლოვანებანი არცთუ მარტივი სიტუაციებისადმი დამოკიდებულებაში, რომლებიც წარმოიშობა ხელოვნების სამყაროში, სახალხო განათლებაში და ბევრ სხვა დარგში. ყოველივე ეს ასე თუ ისე უკავშირდებოდა იმ ძირეულ გარდაქმნათა საჭიროებას, რომლებიც ხდება სახელმწიფო მმართველობის სფეროში.

ჩვენ ვთათბირობდით ყველა ამ პრობლემის გამო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმში. ჩემი აზრით, სწორი იქნება, თუ სოციალური განვითარების ბიურო თავის ძალებს თავს მოუყრის სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალურ ბაზაზე. ამავე დროს მიზანშეწონილად არის მიჩნეული შეიქმნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კულტურისა და სახალხო განათლების დამოუკიდებელი განყოფილება, რომელიც უშუალოდ დაექვემდებარება ქვეყნის მთავრობის მეთაურს. (ტაში).

ბევრი მწარე და სამართლიანი საყვედური გამოთქვეს სახალხო დეპუტატებმა თავიანთი ამომრჩევლების სახელით იმის გამო, რომ სახელმწიფო აშკარად არ უთმობს საჭირო ყურადღებას საზოგადოებაში ქალების მდგომარეობას, ოჯახების განმტკიცებისათვის პირობების შექმნას, დედისა და ბავშვის დაცვის ქმედითი სამართლებრივი საფუძვლების ფორმირებას. ამ საკითხების სიმწვავე ცხადია. ყველას გადაწყვეტა სჭირდება. ამ საკითხებზე უნდა ვიმუშაობდეთ არა ხანგამოშვებით, არამედ ყოველდღიურად, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა დარგებში ქალის როლის გაძლიერების, წარმოებასა და ყოფა-ცხოვრებაში მისი სოციალური დაცულობის უზრუნველყოფის არცთუ მარტივი პრობლემებისადმი სისტემური მდგომარეობის საფუძველზე. ერთი სიტყვით, ამ დარგში საქმე უამრავია. ამ საკითხებზე საგნობრივი მუშაობისათვის სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, როგორც ცნობილია, შეიქმნა შესაბამისი კომიტეტები და კომისიები.

მთავრობამ განიხილა ეს საკითხიც და გამოიტანა დასკვნა, რომ საჭიროა შეიქმნას აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ქალთა, ოჯახის, დედათა და ბავშვთა დაცვის საქმეების დამოუკიდებელი განყოფილება. როგორც ჩანს, ეს განყოფილებაც უნდა ჩავრთოთ მთავრობის მეთაურის უშუალო საქმიანობის სფეროში. (ტაში).

ამხანაგებო!

სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებებმა მთავრობის წინაშე დააყენა სრულიად კონკრეტული და მრავალფეროვანი ამოცანები, რომლებიც მიმდინარე წელს უნდა შესრულდეს. დროის ამ მეტად მოკლე მონაკვეთში ერთად უნდა შევასრულოთ უდიდესი მოცულობის სამუშაო. როგორც ჩანს, საჭირო არ არის დაწვრილებით შევჩერდეთ ამაზე. მაგრამ ძირითადს მაინც შევეხები. ეს, უწინარეს ყოვლისა, არის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის გეგმის, აგრეთვე მეცამეტე ხუთწლედის ძირითად მიმართულებათა მომზადება, რომლებშიც გათვალისწინებული უნდა იყოს ღონისძიებათა მთელი ერთობლიობა, ეკონომიკაში ნეგატიური პროცესების დაძლევის საშუალებას რომ მოგვცემს.

სერიოზული მუშაობა უნდა გავწიოთ ყველაზე მწვავე და გადაუდებელ სოციალურ პრობლემებზე გადაწყვეტილებათა შესამუშავებლად და მისაღებად, რომელთა გამო ღონისძიებანი, როგორც სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე დავთქვით, მომავალი წლის 1 იანვრიდან უნდა განხორციელდეს.

ისახება ამოცანა, რომ უკვე წელს, არა უგვიანეს ოქტომბრისა, მთავრობამ დაამთავროს საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ ახალი კანონის პროექტის მომზადება, რათა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მისი დახვეწისა და მიღების შემდეგ ძალაში შევიდეს მეცამეტე ხუთწლედის დამდეგიდან.

ეკონომიკური რეფორმის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების მიზნით მთავრობა განიხილავს და უმაღლეს საბჭოს წარუდგენს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით მომზადებულ თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების საფუძველზე მოკავშირე რესპუბლიკებში ეკონომიკური და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის გარდაქმნის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტს. ეს კანონი მნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა გახდეს ძალთა კონსოლიდაციის, თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის სპეციფიკისა და პოტენციალის გათვალისწინებით შრომის დანაწილების გაღრმავების, ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოებისა და სოციალისტური ბაზრის უსწრაფესი ფორმირების საქმეში. უდავოა, რომ მოკავშირე რესპუბლიკებისათვის, მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისათვის ახალი დამატებითი უფლებების მინიჭებამ უნდა გაზარდოს მათი პასუხისმგებლობა ადამიანთა ცხოვრების ბევრი საკითხის გადაწყვეტისათვის, რომლებზეც დეპუტატები იძულებული არიან ილაპარაკონ ამ საერთო-საკავშირო ტრიბუნიდან.

ყრილობაზე დისკუსიამ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომისიების, კომიტეტებისა და სესიის სხდომებზე მთავრობის წინადადებათა განხილვამ ცხადყო, რომ ეკონომიკაში შექმნილი ვითარება, განსაკუთრებით მისი ფინანსური მდგომარეობა, სამომხმარებლო ბაზრისა და ფულის მიმოქცევის შეწონასწორება, საკუთრების მრავალგვარი ფორმების გამოყენების საფუძველზე მეურნეობრიობის მთელი სისტემის ღრმა სრულყოფის საჭიროება და ეკონომიკური რეფორმის სხვა საკითხები გადაუდებელ დამუშავებასა და საკანონმდებლო აქტების შესაბამისი კომპლექსის მიღებას საჭიროებს. ასეთი ეფექტიანი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე რეალურად ძნელი იქნება ვიქონიოთ სწრაფი ცვლილებების იმედი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

ამასთან დაკავშირებით უდიდესი მასშტაბისა და სირთულის მუშაობა მოგვიწევს საკანონმდებლო სისტემის გარდაქმნისათვის, მოგვიხდება მთელი საკანონმდებლო-ნორმატიული მასივის ინვენტარიზაცია, რომელიც დაგროვდა მრავალი ათწლეულის მანძილზე და რომელსაც აზის ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის მართვის დიდი ხანია მოძველებული მეთოდების ბეჭედი.

გვჭირდება ღრმა პროფესიული მუშაობა კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციისათვის, რათა გადავწყვიტოთ სსრ კავშირის კანონთა ნამდვილი კრებულის შექმნის საბოლოო ამოცანა. მოკლე ვადებში ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების კანონმდებლობის წესით დამკვიდრებისათვის.

რა თქმა უნდა, ამ მუშაობაში უნდა მონაწილეობდეს სახელმწიფოს ყველა ორგანო, და უწინარეს ყოვლისა, ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები.

ერთი სიტყვით, ამხანაგებო, პოლიტიკური სისტემის რეფორმამ შექმნა ჩვენი ქვეყნის მუდმივმოქმედი პარლამენტი. სიტუაცია ახალია და მოითხოვს მთავრობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ჩამოყალიბებული ურთიერთდამოკიდებულების გადასინჯვას, აქტიურ ერთობლივ მუშაობას გარდაქმნის საერთო მიზნებისათვის, ურთიერთგაგების, უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მუდმივი დიალოგის ატმოსფეროს შექმნას. სწორედ ამით ვაპირებთ დავიწყოთ ჩვენი საქმიანობა.

ამასთან უაღრესად საჭიროა არ დავკარგოთ ის ახალი საწყისები საქმიანი კონტაქტების სისტემაში, რომლებიც თანამიმდევრულად მყარდება და სულ უფრო მეტად გვარდება მთავრობასა და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს შორის. ეს სისტემა უნდა იყოს ზუსტი, სრულყოფილი, ვითარდებოდეს და მოქმედებდეს საჯაროობისა და დემოკრატიზაციის საუკეთესო ტრადიციებით.

პატივცემულო ამხანაგებო!

დღეს დამთავრდა მთავრობის შექმნა. თავისთავად ეს მოვლენა — არაორდინარული საზოგადოების ცხოვრებაში, — უნდა ითქვას, ყველაზე უჩვეულო იყო ჩვენს ქვეყანაში საბჭოების არსებობის მრავალი ათწლეულის მანძილზე. ეს დრო სამართლიანად შევა ჩვენი სახელმწიფოს ისტორიაში, როგორც დემოკრატიულ გარდაქმნათა განუხრელად განვითარებადი პროცესის უმნიშვნელოვანესი რგოლი. სამი კვირაა ამ დარბაზში დაძაბული რიტმით ვითარდებოდა მმართველობის უმაღლესი პოსტების კანდიდატებთან სახალხო დეპუტატთა რთული და უაღრესად ნაყოფიერი დიალოგი. სამი კვირა საბჭოთა ხალხი თავისებურად მონაწილეობდა მთავრობის ფორმირებაში. მას ხმა არ მიუცია, მაგრამ თავის აზრს გამოხატავდა წერილებით, დეპეშებით, პრესაში.

პატივცემულო ჩვენი ქვეყნის მოქალაქენო!

ნება მიბოძეთ ეს-ეს არის შექმნილი მთავრობის სახელით გულწრფელი მადლობა მოგახსენოთ თქვენი მგზნებარებისა და მხარდაჭერისათვის, რომელსაც ნიადაგ ვგრძნობდით.

ახალი მთავრობის მოვალეობაა გაამართლოს ხალხის დიდი ნდობა. (ტაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინი-ტექნიკა მოარენდეებისათვის

ქუთაისის „სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანა" უშვებს სიახლეს — მინი-ტრაქტორს, რომლის ტვირთამწეობა 0,2 ტონაა. მარჯვე, მოხერხებული ტრაქტორი საკარმიდამო ნაკვეთების მფლობელთა, ბაღ-ბოსტნების კოოპერატივების წევრთა, მოარენდეთა ფასდაუდებელი თანაშემწე გახდება. ტრაქტორს აქვს შესაცვლელი სამარჯვები, შეუძლია ხვნა, თიბვა, ბაღების, ვენახების, ბოსტნების მწკრივთშორისების დამუშავება, ნათესების რწყვა.

საცდელმა პარტიამ — ასმა ტრაქტორმა, — კარგად იმუშავა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. და უკვე წელს ქარხნის კონვეიერებიდან ჩამოვა ათასი ახალი მინი-ტრაქტორი.

ქუთაისელმა ტრაქტორმშენებლებმა პირდაპირი სამეურნეო კავშირურთიერთობა დაამყარეს უნგრეთის ქარხანა „რობიქსთან", რაც მცირეგაბარიტიანი ტექნიკისა და მცირე მექანიზაციის საშუალებათა გამოშვებისა და ექსპორტის გაზრდის საშუალებას იძლევა.

სურათებზე: საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის" ექსპერიმენტული საამქროს ამწყობი-ზეინკალი ზურაბ ჯანაშია. იგი მინი-ტექნიკას ხარისხის სამუშაო გარანტიით უშვებს; ქუთაისურ ტრაქტორმშენებელთა სიახლე — მინი-ტექნიკა, რომლის ტვირთამწეობა 0,2 ტონაა.

საქინფორმის ფოტო.



კუზბასში კომისია ჩავიდა

კემეროვო, 17 ივლისი. (საკდესის კორ). დღეს კუზბასში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნ. ნ. სლიუნკოვის მეთაურობით წარმოგზავნილი კომისია, რომელსაც დაევალა შეისწავლოს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები და მიიღოს პრაქტიკული ღონისძიებანი გადაუდებელ საკითხებზე, აგრეთვე მოამზადოს წინადადებანი პერსპექტივაში კუზბასის განვითარების შესახებ და შეიტანოს ისინი სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსა და ქვეყნის მთავრობაში.

ნ. ნ. სლიუნკოვი შეხვდა ქალაქ კემეროვოს მშრომელებს, რომლებიც საბჭოს მოედანზე შეიკრიბნენ. მან შეკრებილთ გააცნო კომისიის მუშაობის პროგრამა და უპასუხა დასმულ კითხვებს. სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრმა მ. ი. შჩადოვმა კემეროვოს მაღაროს მეშახტეებს აცნობა მათ მიერ გაფიცვის დროს წამოყენებული მოთხოვნების განხილვის შედეგები. კემეროვოელთა კითხვებზე უპასუხა აგრეთვე საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ს. ა. შალაევმა.

ნაშუადღევს კომისიის წევრები პროკოპიევსკში გაფრინდნენ. აქ ისინი გაერთიანებულ საოლქო საგაფიცვო კომიტეტთან ერთად შეუდგებიან კუზბასის განვითარების იმ გადაუდებელი პრობლემების განხილვას, რომლებიც გაფიცულთა მოთხოვნებშია ჩამოყალიბებული.

გაფიცვა გრძელდება

კემეროვო. 15 ივლისი. (საკდესის კორ. გ. შალაკინი). დღეს კუზბასელ მეშახტეთა გაფიცვის მეხუთე დღეა. ახლა მისმა ეპიცენტრმა მეჟდურეჩენსკიდან პროკოპიევსკში გადაინაცვლა. ქალაქის ცენტრალური მოედანი, აგრეთვე მეშახტეთა პროსპექტი და სხვა მიმდებარე ქუჩები მთელი დღე-ღამეების განმავლობაში ათიათასობით კაცით არის სავსე. საქალაქო ტრიბუნის წინ ხვატშიც და წვიმაშიც სხედან სამუშაო სპეცტანსაცმელში გამოწყობილი მეშახტეები.

კემეროვოს მაღაროში შეჩერდა არა მარტო სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, არამედ რუსეთის სფსრ სათბობი მრეწველობის სამინისტროს შახტებიც. ქალაქის ხელმძღვანელობამ საგაფიცვო კომიტეტს სთხოვა განეახლებინა მუშაობა, მაგრამ ამ წინადადებას მხარი არ დაუჭირეს არც კომიტეტმა და არც გაფიცულებმა. პრობლემების გადაჭრის დასაჩქარებლად, მომიტინგეებმა საბჭოს მოედანზე საოლქო ცენტრში შეიტანეს წინადადება კუზბასში მთავრობის სრულუფლებიან წარმომადგენელთა გამოგზავნის შესახებ.

სიძნელენი შეიქმნა კემეროვოს კოქსქიმიურ ქარხანაში იმის გამო, რომ ქვანახშირის მიწოდება შეწყდა მეჟდურეჩენსკიდან და პროკოპიევსკიდან. თუ ვითარება არ შეიცვლება, ორი დღის შემდეგ საჭირო გახდება ამ რთული წარმოების გაჩერება.

მეჟდურეჩენსკში ვითარება ნორმალურ კალაპოტში დგება, მაგრამ, მაგალითად, ქვეყნის უდიდეს „რასპადსკაიას" შახტში 21 ათასი ტონის ნაცვლად განვლილ დღე-ღამეში ამოღებულია მხოლოდ ათასი ტონა სათბობი.

მოვლენებს განმარტავს სკკპ კემეროვოს საოლქო კომიტეტის წევრი, პარტიის კემეროვოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ოვლენკო:

— მუშები კუზბასისათვის ფრიად მნიშვნელოვან პრობლემებს სვამენ. ბევრი ამ პრობლემის გადაწყვეტა სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეუძლიათ. ჩემი აზრით, უწინარეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს მიდგომა აუზში ქვანახშირის მოპოვებისადმი და დარღვეული ბუნებრივი წონასწორობის აღდგენის პროცესებისადმი და მკვეთრად შეიცვალოს დამოკიდებულება რეგიონის სოციალური სფეროსადმი. ბინით, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებით, პროფილაქტორიუმებით, კეთილმოწყობით და ბევრი სხვა რამით უზრუნველყოფაში ხომ კუზბასი არსებითად ჩამორჩება რუსეთის ფედერაციის ოლქების უმრავლესობას.

ოლქის ყველა მცხოვრებმა უნდა იცოდეს, რა კონკრეტული ღონისძიებანი განხორციელდება აღძრული პრობლემების გადასაჭრელად, და მათი რეალიზაციის კონკრეტული ვადები. მხოლოდ ეს თუ დაამშვიდებს ხალხს.

ხორციელდება ნორმალიზაციის ღონისძიებანი

ბატკენი (ოშის ოლქი). 15 ივლისი. (საკდესი). ბატკენის რაიონისა და მისი მეზობელი ტაჯიკეთის სსრ ისფარის რაიონის მცხოვრებლებს შორის ურთიერთობის გამწვავების შემდეგ აქ ჩამოვიდნენ ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები ა. მ. მასალიევი და კ. მ. მახკამოვი, ამ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები ა. დ. ჯუმაგულოვი და ი. ხ. ხაეევი. აქ არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სახალხო დეპუტატთა ჯგუფიც. ყირგიზეთის კომპარტიის ბატკენის რაიკომსა და ტაჯიკეთის კომპარტიის ისფარის საქალაქო კომიტეტში გაიმართა თათბირები, რომლებშიც მონაწილეობდნენ ორივე რესპუბლიკის ხელმძღვანელები და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები. თათბირზე მიიღეს კონკრეტული ზომები შექმნილი სიტუაციის განჯანსაღებისათვის. ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კ. მ. მახკამოვმა შეკრებილთ აცნობა, რომ შეიქმნა მთავრობის საგანგებო კომისია ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ხ. ხაეევის მეთაურობით. იგი იმუშავებს ვითარების სრულ სტაბილიზაციამდე ისფარის რაიონში.

მიღებულია გადაწყვეტილება მაჩხოის არხის გაწმენდისა და 15 ივლისიდან ბატკენის რაიონის „ვ. ი. ლენინის 100 წლისთავის" სახელობის საბჭოთა მეურნეობისათვის წყლის მიწოდების შესახებ. ორივე რესპუბლიკაში გადაწყდა შეიქმნას მთავრობის კომისიები, რომლებიც შეისწავლიან და დააზუსტებენ სადავო მიწის ნაკვეთების საზღვრებს.

პირდაპირ სოხუმში, თბილისის გაუვლელად...

გაზეთ „აიდგილარას" ფურცლებზე

ის, რაც აფხაზეთში მოხდა და ხდება, არ შეიძლება არ იწვევდეს უსაზღვრო შეშფოთებას, სულისშემძრავ ტკივილებსა და განცდებს. თუ რამ მიგვიყვანა აქამდე, ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია და მოითხოვს ვითარების ღრმა ანალიზს, ფაქტების ათასგზის შეპირისპირებას, საფუძვლიანი დასკვნების გამოტანას, რაც დღეს თუ ხვალ აუცილებლად უნდა გაკეთდეს. საჭიროა საგნებს, ბოლოს და ბოლოს, ეწოდოს თავიანთი ნამდვილი სახელი, ყველაფერს მიეცეს სწორი და ობიექტური შეფასება.

მანამდე კი ჩვენს ხელთაა აფხაზეთის სახალხო ფორუმის გაზეთის „აიდგილარას" („ერთობა") 1989 წლის 2 ივლისის სპეციალური მრავალგვერდიანი გამოშვება, რომელშიც დაბეჭდილი მასალები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან აფხაზეთში მოვლენების მომწიფება-განვითარებაზე და იმ ძალების პოზიციაზე, რომლებიც თავიანთ თავს სახალხო ფორუმის მესვეურებად წარმოგვიდგენენ. ჩვენ ზოგიერთი ამ პუბლიკაციის შინაარსს ვურთავთ მცირეოდენ შენიშვნებს, დანარჩენის განსჯა და დასკვნები მკითხველისათვის მიგვინდვია.

უპირველესად ყურადღებას იპყრობს სახალხო ფორუმის მიმართვა აფხაზეთის მოსახლეობისადმი.

მასში ნათქვამია, რომ აფხაზეთში გამწვავდა ეროვნებათშორისი ურთიერთობა და ამის მიზეზია ის, რომ საქართველოს არაფორმალურ ორგანიზაციათა ექსტრემისტები ყოველნაირად ცდილობენ დააბრუნონ სამწუხარო დრო, ეგრეთ წოდებული „დემოკრატიული", სინამდვილეში კი მენშევიკური საქართველო, რომელმაც სისხლში ჩაახშო ახალგაზრდა „აფხაზეთის კომუნა" და დაამყარა თავისი ანტისახალხო დიქტატურა. ბრალდებათა შორის მოხსენებულია აფხაზი ხალხისა და აქ მცხოვრები სხვა არაქართველი მოსახლეობის უფლებების შელახვა, ისტორიის უხეში ფალსიფიკაცია, აფხაზეთის ორაბორიგენობის ანტიმეცნიერული თეორიის ქადაგება, აფხაზების „მოსულებად" გამოცხადება, მკვიდრი ერისათვის საკონსტიტუციო უფლებების ჩამორთმევა, პოლიტიკური და ეკონომიკური დიქტატი ავტონომიური რესპუბლიკისადმი. აფხაზეთის ამბებს თითქოსდა ტენდენციურად აშუქებენ რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, აფხაზ ხალხს კი წართმეული აქვს შესაძლებლობა, რომ ქართული პრესის ცრუ მონაჩმახს საჯაროდ გასცეს პასუხი, საზოგადოების ფართო ფენებს განუმარტოს ჭეშმარიტება.

საყურადღებოა ამ პუბლიკაციის ორი მხარე. პირველია ის, რომ მასში მოცემული არ არის სერიოზული ბრალდებების დასაბუთების უბრალო ცდაც კი. მეორე და უმთავრესია ხალხის ნამდვილი ამხედრების ფარული მიზანი, განსაკუთრებით საზოგადოების იმ ნაწილისა, რომელიც საფუძვლიანად არ იცნობს ისტორიისა და თანამედროვე პოლიტიკის არსებით მომენტებს.

რესპუბლიკური პრესა მართლაც იმსახურებს საყვედურს, მაგრამ იმის გამო კი არა, რომ თითქოს ტენდენციურად აშუქებს აფხაზეთის ამბებს, არამედ იმიტომ, რომ ადგას ერთგვარი შემრიგებლობის პოზიციას, ერიდება პრობლემების გამწვავებას, სიმართლის ბოლომდე თქმას. რაც შეეხება საჯაროობის შეზღუდვას, აფხაზ ხალხზე ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ აგრესიულად განწყობილი წრეები და ადამიანები ავტონომიური რესპუბლიკის პრესას ერთობ მოხერხებულად იყენებენ, ძალზე რბილად რომ ვთქვათ, ყოვლად დაუსაბუთებელი და აშკარად გაუმართლებელი პუბლიკაციებისათვის. ამის უამრავი მაგალითი ჩვენს მკითხველს კარგად მოეხსენება.

ახლა კი ზოგიერთი კონკრეტული მოთხოვნისა და მოვლენების თანამიმდევრულად განვითარების შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი 1989 წლის 27 ივნისს გაგზავნილ წერილში ეგრეთ წოდებულმა აფხაზეთის მშრომელთა წარმომადგენლების კრებამ წამოაყენა ორპუნქტიანი კატეგორიული მოთხოვნა:

„1. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მომზადების დროს გადასინჯული იქნეს სსრ კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობის ოთხსაფეხურიანი ფორმა, რომელიც არ უპასუხებს ხალხების სრული თანაბარუფლებიანობის პრინციპებს.

2. რამდენადაც საქართველოს რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაცია და მისი ცენტრალური კომიტეტი მთლიანობაში განზე განუდგნენ პარტიულობის ლენინურ პრინციპებს და მათი მოქმედებანი არ შეესაბამება პარტიის წესდებასა და პროგრამას, კომუნისტები — აფხაზეთის სახალხო ფორუმის წევრები მივიდნენ ერთსულოვან აზრამდე: საქართველოს რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის რიგებში შემდგომი ყოფნა შეუთავსებელია ლენინური კომუნისტური პარტიის წევრის წოდებასთან".

როგორც მკითხველისათვის გასაგებია, აქ კვლავ განმეორებულია სოფელ ლიხნში წლეულს 18 მარტს გამართული კრების მოთხოვნა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსის აღდგენის შესახებ და დამატებულია საქართველოს პარტიული ორგანიზაციიდან აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის გამოყოფის საკითხი. თავი რომ გავანებოთ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციისა და მისი ცენტრალური კომიტეტის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს, აგრეთვე პრესაში კარგად გაშუქებულ სტატუსის შეცვლის პრობლემებს, აქ ყურადსაღებია მეტად მნიშვნელოვანი გარემოებანი: რატომ ცხადდება აფხაზეთის სახალხო ფორუმად და აფხაზეთის მშრომელთა წარმომადგენლების კრებად ისეთი თავყრილობა, რომელშიც ძირითადად აფხაზები მონაწილეობენ? რატომ არა აქვთ აფხაზეთში თავიანთი სიტყვის თქმის უფლება ამ მიწის მკვიდრ ქართველ მოსახლეობას, რომელიც იქ მცხოვრებ ყველა ერთან შედარებით გაცილებით მრავალრიცხოვანია? განა ამას მოითხოვს ერთა შორის დამოკიდებულების ლენინური პრინციპები? ერთი სიტყვით, კითხვა უამრავია და მათ სჭირდებათ რეალური, სამართლიანობასა და ისტორიულ სიმართლეზე დაფუძნებული პასუხები და არა ამბიციური გამოხდომები, შიშველი დეკლარაცია და, მით უმეტეს, კანონის საწინააღმდეგო მოქმედება.

ასევე განუდგა საქართველოს კომკავშირს აფხაზეთის კომკავშირი. ყოველ შემთხვევაში, საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. მირონენკოსადმი მიწერილ წერილში, რომელსაც ხელს აწერს 23 აქტივისტი, ნათქვამია: **„ჩვენი გადაწყვეტილება მტკიცეა — ჩვენთვის არ არის ადგილი საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციაში, შესაძლებლად გვესახება სუვერენული აფხაზეთის ახალგაზრდობის ნამდვილი კომუნისტური კავშირის ჩამოყალიბება, რომელიც პირდაპირ დაექვემდებარება საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს".**

კვლავ რადიკალური გადაწყვეტილება და კვლავ საერთო აზრის გაუთვალისწინებლობა, არავის არაფრად აინტერესებს, თუ რას ფიქრობენ ამ საკითხზე აფხაზეთში მცხოვრები ქართველი და სხვა არააფხაზი ეროვნების წარმომადგენლები, მთლიანად ავტონომიური რესპუბლიკის ახალგაზრდობა და კომკავშირელები.

განწყობილების წარმმართველი მნიშვნელოვანი დეტალიც: როგორც ერთ-ერთი კორესპონდენცია იუწყება, სახალხო დეპუტატებთან შეხვედრის დროს დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა ცნობას იმის თაობაზე, რომ **აფხაზეთში, მდგომარეობის შემსწავლელი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სპეციალური კომისია მოსკოვიდან პირდაპირ სოხუმში ჩაფრინდება, თბილისის გაუვლელად...**

აფხაზეთის სახალხო ფორუმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს რ. ნიშანოვს 1989 წლის 28 ივნისს ატყობინებდა:

„ნაციონალურ-შოვინისტური ანტისაბჭოთა არაფორმალური ორგანიზაციები საქართველოს ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელშეწყობითა და დახმარებით აწყობენ ფართომასშტაბიან შეტევას აფხაზეთის რესპუბლიკასა და მის არაქართული მოსახლეობის წინააღმდეგ. ხორციელდება აქციები რესპუბლიკის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ეროვნული პრინციპის მიხედვით გათიშვისათვის. ეს აქციები ხელს უწყობენ ეროვნებათშორისი შუღლის გაღვივებას და ის გარემოება, რომ ამჟამად აფხაზეთში ჯერ კიდევ არ არის ადამიანთა მსხვერპლი, შემთხვევითია. ნებისმიერ ინციდენტს ნებისმიერ წუთში შეუძლია გამოიწვიოს შეტაკებათა უმართავი და სისხლიანი ჯაჭვი".

პირდაპირ საოცარია ასეთი წინასწარმეტყველება, ამას საქმეში ჩაუხედავი კაცი ვერ გააკეთებს.

ის საშინელება, რაც არ მომხდარა აფხაზეთში ივნისის ბოლოს, სამწუხაროდ, მოხდა ივლისის შუა რიცხვებში და დიდი მიხვედრილობა არ არის საჭირო იმ დასკვნის გამოტანისათვის, რომ პროგნოზის აგრერიგად გამართლებას საფუძვლად უდევს გულმოდგინე მზადება ამ სისხლიანი შეტაკებისათვის.

ამასვე ცხადყოფს მეორე დოკუმენტი, რომელიც აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მასწავლებლებმა, თანამშრომლებმა და სტუდენტებმა გაუგზავნეს საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრს გ. ენუქიძეს. აქაც მოთხოვნები კატეგორიული ფორმითაა ჩამოყალიბებული:

„1. დაუყოვნებლივ გამოეცით ბრძანება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში აბიტურიენტებისაგან დოკუმენტების მიღების შეჩერების შესახებ.

2. დააყენეთ საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე ქ. სოხუმში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის შექმნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 14 მაისის №848 განკარგულების დაუყოვნებლივ გაუქმების შესახებ.

წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ პროვოცირებას მოახდენთ ეროვნებათა შორის პირდაპირი შეტაკებისა, რისთვისაც პასუხისმგებლობა პირადად დაგეკისრებათ".

ეს არის აშკარა მუქარა. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, სამინისტრომ და სასწავლო დაწესებულებებმა დიახაც უნდა იპოვონ ასეთი საკითხების გადაწყვეტის ყველაზე ოპტიმალური გზები, გამოასწორონ შეცდომები, თუ კი ისინი დაუშვეს, მაგრამ რა შუაშია აქ ძალის პოზიციებიდან ლაპარაკი, მით უმეტეს პრაქტიკულად განხორციელებული ძარცვა და ხოცვა-ჟლეტა? ჩანს, მოვლენები სტიქიურად არ განვითარებულა, ყველაფერს ჰქონდა გამიზნული და გეგმაზომიერი ხასიათი.

ნიშანდობლივია აგრეთვე ადგილობრივი ქართველი ხელმძღვანელი მუშაკებისადმი გამოვლენილი უნდობლობა, მათდამი აბუჩად ამგდები დამოკიდებულება. აქ ფორმულა ერთობ მარტივი, მაგრამ მრავლისმომცველია: ქართულია? — მაშასადამე, არ ვარგა!

და ბოლოს, გაზეთს ქართულად „ერთობა" ჰქვია. საკითხავია, რა ერთობასა და ერთიანობაზე არის აქ ლაპარაკი, როცა ყველაფერს ერთა შორის გათიშულობასა და განკერძოებისაკენ მივყავართ, როცა ყველაფერს შეხლა-შემოხლისა და მუქარის სუნი ასდის. ვფიქრობთ, ამ გამოშვებამაც შეასრულა თავისი უარყოფითი როლი ეროვნულ ნიადაგზე დაძაბულობის გაღვივებაში.

ჩვენ კი გვჭირდება ნამდვილი ერთობა და შეკავშირება, რომელსაც საფუძვლად დაედება ურთიერთპატივისცემა, წარსულის დადებითი გამოცდილება, სინამდვილის რეალური აღქმა, მხოლოდ ჭეშმარიტება და სინათლე.

გაზეთ „კომუნისტის" პარტიულ-იდეოლოგიური მუშაობის განყოფილება.

ამ დღეების ქრონიკა

ზუგდიდი

ექსტრემალური ვითარება, რომელიც 15 და 16 ივლისს ღამით იგრძნობოდა, ამჟამად შედარებით შენელდა. ემოციებს გონიერებამ სძლია, თუმცა მრავალი პასუხგაუცემელი კითხვა და ტრაგედიის სიმძიმე დამშვიდების საშუალებას არ აძლევს ფართო საზოგადოებრიობას.

აფხაზეთში შექმნილ რთულ სიტუაციასთან დაკავშირებით 17 ივლისს ქ. ზუგდიდის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგი.

მისმა მონაწილეებმა დაგმეს აფხაზ ექსტრემისტთა სისხლიანი აქცია, რომლის მიზანია ხელი შეუშალოს ქართველი ერის ჭეშმარიტი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის სწრაფვას, დააქუცმაცოს საქართველოს მიწა-წყალი, ხელოვნურად დაძაბოს პოლიტიკური სიტუაცია, შუღლი და მტრობა დათესოს ერებს შორის...

მიტინგის მონაწილეებმა სიმშვიდისათვის, გონიერებისათვის მოუწოდეს თითოეულ მოქალაქეს, ახალგაზრდობას, გამოიკვეთა აზრი, რომ ძალის პოზიციიდან მწვავე პრობლემები ვერ მოგვარდება, სიმართლე ვერ გაირკვევა.

მიტინგის მონაწილე ათასობით ადამიანმა პატივი მიაგო ექსტრემისტებთან შეტაკებისას დაღუპული ახალგაზრდის, „ენგურქაღალდკომბინატის" სამშენებლო-სარემონტო საამქროს მუშის ონერ შენგელიას ხსოვნას, ყველა დაღუპულს.

ამჟამად ქალაქში ყველაფერი კეთდება მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის. ვითარებას აკონტროლებენ მილიციის მუშაკები და სამხედრო კურსანტები.

„კომუნისტის" საკ. კორ.

ქუთაისი

ასობით ქუთაისელი შეიკრიბა ცენტრალურ — დავით აღმაშენებლის სახელობის მოედანზე, რათა მიეღოთ დაწვრილებითი ინფორმაცია აფხაზეთში მიმდინარე ამბების და იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც ვითარების მოსაგვარებლად ხორციელდება.

მიტინგის მონაწილეებმა მოითხოვეს მკაცრად დასაჯონ ექსტრემისტები, [illegible] ება, ჩამოართვან მათ იარაღი, [illegible] გამოძიება [illegible] პროვოკაციებს.

ქალაქში შეიქმნა შეტაკებების მსხვერპლთა დახმარების ფონდი, გაიხსნა სადონორო პუნქტები.

სამტრედია

18 ივლისს ღამის ორ საათზე, საგაფიცვო კომიტეტის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს მშრომელებმა გაფიცვა შეწყვიტეს.

— აფხაზეთში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობის მიუხედავად, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს მემანქანე ჯემალ ჩიკაბერიძემ, — გაფიცვის ვადამდე შეწყვეტა უპირველესად ზაფხულის ამ მცხუნვარე დღეებში სამგზავრო ვაგონებში დარჩენილი ათასობით მგზავრის მდგომარეობამ განაპირობა. მით უმეტეს, რომ მგზავრთა უმრავლესობა ბავშვები არიან. სწორედ ამის გამოც ოჩამჩირის რაიონში სიცოცხლის აშკარა საფრთხის მიუხედავად გზის აღდგენაზე მუშაობდნენ ჩვენი კოლეგები. 18 ივლისს დილით ჩვენმა ერთმა შემადგენლობამ თან წაიღო აფხაზეთის მოსახლეობისათვის რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა საჩუქარი — ერთი ვაგონი პროდუქტები.

— ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს დღის წესრიგიდან მოხსნილიყოს პროტესტის გამომწვევი მიზეზები, ჩვენ კი მის გამოხატვაზე ხელი ავიღეთ, ჩაერია საუბარში საგაფიცვო კომიტეტის წევრი ნოდარ ნაკაშიძე, — კრებაზე მიღებულია აგრეთვე წერილი რესპუბლიკის ხელმძღვანელობისადმი, სადაც აისახა დეპოს მრავალრიცხოვანი კოლექტივის წევრის გულისთქმა:

— დაუყოვნებლივ შეწყდეს სისხლისღვრა აფხაზეთში, დააპატიმრონ ისინი, ვინც დათესა მტრობა და ეჭვის ქვეშ დააყენა ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ძმობა. (საქინფორმი).

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის

მიმართვა

საქართველოს ჟურნალისტებისადმი

ძვირფასო კოლეგებო!

ბოლო დროს აფხაზეთში მომხდარი ამბები — ექსტრემისტულად განწყობილი აფხაზი ეროვნების წარმომადგენელთა პროვოკაციული გამოხდომები, ქართველებსა და აფხაზებს შორის ეროვნულ ნიადაგზე გაჩაღებული სისხლიანი შეტაკებები მთელი რესპუბლიკის, საბჭოთა ადამიანების შეშფოთებას და მწუხარებას იწვევს.

ძნელი წარმოსადგენია, რომ საუკუნეების მანძილზე ერთი ცისქვეშ ურთიერთპატივისცემითა და თანხმობით მცხოვრებმა ძმებმა სასიკვდილოდ გაიმეტეს ერთმანეთი.

და მაინც, აფხაზეთის პრობლემა ახალი არ არის.

უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში აფხაზი მოსახლეობის გარკვეული წრეები უსაფუძვლო პრეტენზიებს აცხადებდნენ და პერიოდულად სვამდნენ სხვადასხვა საკითხს საბჭოთა კავშირის უმაღლეს ინსტანციებში. სამწუხაროდ, გაუმართლებელი დათმობების წყალობით, ჩვენი რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არც ერთ პრობლემაზე ბოლომდე არ ამბობდნენ სიმართლეს, არ ცდილობდნენ საგნებისა და მოვლენებისათვის საკუთარი სახელები ეწოდებინათ.

ამან გამოიწვია ის, რომ ყოვლისმიმტევებლობით გათამამებული ეს წრეები აშკარად ამახინჯებდნენ ისტორიას, დაადგნენ გადამ შედავების პოლიტიკას.

განსაკუთრებით ბოლო პერიოდში აფხაზეთის გაზეთებში გამოქვეყნდა ცილისმწამებლური სტატიები. არც ამ სტატიებზე გაუცია ამომწურავი პასუხი რესპუბლიკის პრესას.

არაფერი დაბეჭდილა ვითარების ნორმალიზაციის მიზნით სოხუმის ტრაგედიის წინა პერიოდშიც. ამის საშუალება კი ჟურნალისტებს არ მისცა სხვადასხვა ინსტანციების მეტისმეტმა სიფრთხილემ. რეაგირების გარეშე დარჩა ის ფაქტიც, რომ ადგილობრივი საოლქო გაზეთის — „საბჭოთა აფხაზეთის" რამდენიმე ნომერი ვერ გამოვიდა ექსტრემისტულად განწყობილი აფხაზი ეროვნების წარმომადგენელთა თუ ადგილობრივი ოფიციალური ორგანოების უხეში ჩარევის გამო. მიგვაჩნია, რომ საჭირო დასკვნები ვერ გამოვიტანეთ 9 აპრილს მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, ვერ მივიღეთ მტკიცე გადაწყვეტილება დროულად ამოვდგომოდით მხარში ჩვენს კოლეგებს, ვერ გამოვიჩინეთ პრინციპულობა და ვერ დავამტკიცეთ, რომ არავის აქვს უფლება ხელი შეუშალოს ჟურნალისტს — დაუფარავად თქვას სათქმელი, დროულად და ოპერატიულად მიაწოდოს ხალხს მართალი ინფორმაცია.

ასე იცის მიჩუმათებამ, წაყრუებამ, გაუმართლებელმა ლიბერალობამ და დათმობამ.

ჟურნალისტების ვალი კი ის არის, რომ დავძლიოთ ინერცია, ვიყოთ მოვლენების შუაგულში, ობიექტურად, საქმის ღრმა ცოდნით გავაანალიზოთ ყოველი ფაქტი, გავაჩაღოთ დიალოგი, ამისთანა საკითხებზე მხოლოდ ისტორიული დოკუმენტებით ვესაუბროთ ერთმანეთს და არა შიშველი ემოციებით, გავარჩიოთ ვინ მართალია და ვინ მტყუანი, ვის რა ბრალი ედება გაუმართლებელ სისხლისღვრაში.

ასეთ კრიზისულ ჟამს არ შეიძლება არ აღვნიშნოთ 18 ივლისის „იზვესტიის" პუბლიკაციამ — „ვითარება აფხაზეთში". მისი ავტორი ვლ. არსენიევი, რომელსაც დიდად არ აინტერესებს მოვლენების ძირი და ფესვი, ვითომ ობიექტურად, შეპარვით ცდილობს მკითხველს შთააგონოს, თითქოს აგრესიულად განწყობილი ქართველების ბრალი იყოს მომხდარი ამბები, თითქოს მათი შიშით აფხაზები სოხუმიდან გახიზნულიყვნენ, ქართველები კი იარაღით ხელში დათარეშობდნენ მთელ დასავლეთ საქართველოში.

ამთავითვე უნდა აღიკვეთოს ტელეფონით ყურმოკრული ნაუბრის საფუძველზე, მკითხველის შეცდენის მიზნით, ზერელე ინფორმაციების გამოქვეყნების ცდები, გაზეთი კი, რაკი დაინტერესდა სისხლისმღვრელი ძმათამკვლელობის ამბებით, მოვალეა მომწვლილვით გააანალიზოს ყოველივე, სანამ ესოდენ უპასუხისმგებლო პუბლიკაციებს მიმართავდეს.

ყოველი ჟურნალისტი ვალდებულია უდიდესი კეთილსინდისიერებით და პასუხისმგებლობით მოეკიდოს თავის მოვალეობას. გამოიჩინოს მაქსიმალური სიფრთხილე, რათა თავისი პუბლიკაციებით ზიანი არ მიაყენოს ერთა მეგობრობას, რესპუბლიკაში მცხოვრები რომელიმე მოქალაქის ეროვნულ თავმოყვარეობას.

ამავე დროს გვწამს, რომ რესპუბლიკაში მცხოვრები არაქართველები მეტი კეთილსინდისიერებით, მეტი სიყვარულით, მოკრძალებითა და სითბოთი უნდა ეკიდებოდნენ საქართველოს ავტორიტეტს, ინტერესებს, მის წარსულს, აწმყოსა და მომავალს.

დღეს კი, როცა ჩვენი ერთიანი სამშობლო — საქართველო იბრძვის თავისი სუვერენიტეტის გაფართოება-განმტკიცებისათვის, რეალური დამოუკიდებლობისათვის, ზოგიერთი ძმადნაფიცი ხალხის წარმომადგენლების მოქმედებანი გარდაქმნის პოლიტიკისათვის ზურგში ხანჯლის ჩაცემის ტოლფასია.

ბუნებრივია, ეს ქართველი ხალხის უდიდეს აღშფოთებას იწვევს. გვმართებს დავუფიქრდეთ იმას, რომ იქნებ ჩვენი აგრერიგად გამწვავებული ურთიერთობა ხელს აძლევს ჩვენს არაკეთილმოსურნეებს. ეს პირველი შემთხვევა როდია. ამის მწარე გაკვეთილები გვახსოვს ისტორიიდან.

მაშასადამე, ერთ მუშტად შეკვრა გვმართებს ყველას — ქართველს და არაქართველს, ხელმძღვანელს თუ რიგით მშრომელს, რომ ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს და დაკანონდეს სიმართლე, შეიქმნას თანაცხოვრების ნორმალური პირობები, ისეთი, როგორიც ეკადრებათ XX საუკუნის ცივილიზებულ ადამიანებს, როგორიც ეკადრება საქართველოს ისტორიას, მის კულტურას, მის ხვალინდელ დღეს.

დღეს მართალ სიტყვას ოქროს ფასი აქვს. ქართველი ჟურნალისტები მოვალენი ვართ მისხალ-მისხალ ავწონოთ ყველაფერი და სიმართლე ვამცნოთ საზოგადოების თითოეულ წევრს.

სიმართლე, მხოლოდ სიმართლე! ეს უნდა გახდეს ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის დევიზი.

„იზვესტიის" პუბლიკაციის გამო

„იზვესტიის" გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა გაზეთის სპეციალური კორესპონდენტის ვლ. არსენიევის ინფორმაცია აფხაზეთში შექმნილი ვითარების შესახებ. ინფორმაციამ აშკარა ტენდენციურობითა და არაობიექტურობით აღაშფოთა რესპუბლიკის საზოგადოებრიობა.

რესპუბლიკური გაზეთების, ტელევიზიისა და რადიოს რედაქციებში დილიდან არ წყდება ტელეფონის ზარი. მკითხველებს და მაყურებლებს აინტერესებთ, თუ რატომ ეყრდნობა საქართველოში პოპულარული გაზეთი მხოლოდ ერთ წყაროს, რა არის იმის მიზეზი, რომ ინფორმაცია აშკარად არ არის სრული.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ცენტრალური გაზეთის ფურცლებზე აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ამბების ასეთი ცალმხრივი განმარტება არანაირად არ უწყობს ხელს აფხაზეთსა და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციას. აქ ძალზე საჭიროა სიდინჯე, ობიექტურობა, უდიდესი პასუხისმგებლობა ყოველი ინფორმაციის თითოეული სიტყვისათვის — საქმე ხომ მართლაც აფეთქებასაშიშ ვითარებას ეხება, რომელშიც არასასურველი და დაუშვებელია არაობიექტურობისა და ნაჩქარევი დასკვნების თუნდაც უმცირესი ნაპერწკალი.

სანამ საკუთარ შთაბეჭდილებებს ჩამოაყალიბებდა რესპუბლიკაში მოვლინებული მრავალმილიონიანი ტირაჟის მქონე გაზეთის ჟურნალისტი, თვითნებურად არ უნდა შეერჩია ფაქტები, არამედ მთლიანად ოფიციალურ წყაროებს დამყარებოდა, და ამრიგად „იზვესტიის" მკითხველისათვის არ შეექმნა დამახინჯებული წარმოდგენა აფხაზეთის ვითარებაზე. მით უმეტეს, რომ „იზვესტიის" კორესპონდენტს საქინფორმმა მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც წინა დღეს გადაიცა რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ეს თავისი აზრი აცნობა ზემდგომ პარტიულ ორგანოს.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება

(დასასრული)

მყოფოს დასახმარებლად მიმართა 289 დაშავებულმა. მათგან 188 ჰოსპიტალიზებულია. ცივი და ცეცხლსასროლი იარაღით დაიღუპა 15 კაცი, რომელთაგან ორი საავადმყოფოში გარდაიცვალა. დაჭრილთა შორის არის 4 მილიციის თანამშრომელი და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ოთხი წარმომადგენელი.

ავტონომიურ რესპუბლიკაში არიან სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ვ. შატალინი და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი შ. გორგოძე. ხორციელდება აქტიური ღონისძიებანი შფოთისთავთა და არეულობის ორგანიზატორთა დასადგენად და დასაპატიმრებლად, მოსახლეობისათვის იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების ჩამოსართმევად.

17 ივლისს აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა ორგანოებმა მოქალაქეებს ჩამოართვეს 218 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი, აქედან 10 — ლულაჭრილი, 18 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება, 52 ცეცხლგამჩენი ბოთლი. აფხაზეთის მიმდებარე რაიონებში ჩამორთმეული და ნებით ჩაბარებულია 480 სანადირო თოფი, 140 სასწავლო ავტომატი, 110 მცირეკალიბრიანი შაშხანა, 1 „აკმ" ავტომატი, 7 მაკაროვის პისტოლეტი.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო ერთხელ კიდევ მოუწოდებს მოქალაქეებს ნებით ჩააბარონ გატაცებული იარაღი, დაუყოვნებლივ მიაწოდონ მილიციის ორგანოებს ყოველგვარი ინფორმაცია იარაღის ადგილსამყოფლის შესახებ.

ავტონომიურ რესპუბლიკაში საზოგადოებრივ წესრიგს იცავენ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების 4500 სამხედრო მოსამსახურე, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონული ორგანოების 2 ათასამდე თანამშრომელი. მდგომარეობა კონტროლს ექვემდებარება. პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოები ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწევიან მოსახლეობაში.

ქ. თბილისსა და ქვემო ქართლის ზონის რაიონებში სამართალდამცავი ორგანოების მიერ მიღებული ზომების შედეგად სტაბილური ვითარებაა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესჯგუფი.

ინციდენტების თავიდან ასაცილებლად

ამ ბოლო დღეებში ეროვნულ ნიადაგზე მღელვარებასთან დაკავშირებით რესპუბლიკაში უკიდურესად გამწვავდა ვითარება. არის იარაღის გატაცების მიზნით გუშაგებზე თავდასხმის შემთხვევები. აფხაზეთში მოხდა რაიონულ სამხედრო კომისარიატებზე თავდასხმასთან დაკავშირებული ინციდენტები, არის ცდები შეაღწიონ ჯარის ნაწილებისა და ქვეგანაყოფების ტერიტორიაზე.

ოლქის ჯარების სარდლობა საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს სთხოვს, ნუ მიმართავენ ცდებს, რომლებიც გუშაგებმა შეიძლება მიიჩნიონ საგუშაგოებზე თავდასხმად, დაცულ ტერიტორიაზე შეღწევის მისწრაფებად. ამას შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვეს.

ჯარის ნაწილების მეთაურებმა სამხედრო ობიექტების დაცვის გაძლიერების, სამსახურის დროს გუშაგების სიფხიზლის გაზრდის მიზნით გადაუდებელ ღონისძიებათა კომპლექსი განახორციელეს.

წესდება გუშაგს ავალებს გამოიყენოს იარაღი გაუფრთხილებლად მასზე ან მის მიერ დაცულ ობიექტზე აშკარა თავდასხმის შემთხვევაში.

რეალურ ცხოვრებაში შეუძლებელია ყველა შემთხვევითობის გათვალისწინება. ესა თუ ის მოქალაქე ბოროტი განზრახვის გარეშე შეიძლება აღმოჩნდეს სამხედრო ობიექტის მახლობლად, მოხვდეს გუშაგის მხედველობის არეში. ამ შემთხვევაში ტრაგედიის თავიდან აცილების მტკიცე გარანტიაა მისი ბრძანების უთუო შესრულება.

გახსოვდეთ, თუ დამრღვევი არ ჩერდება და ცდილობს შეაღწიოს დაცულ ობიექტში (საგუშაგოში) ანდა ასეთი ცდის შემდეგ გარბის, გუშაგი გაფრთხილების მიზნით ისვრის ჰაერში. თუ დამრღვევი არ შეასრულებს მის მოთხოვნას, გუშაგი იყენებს მის მიმართ იარაღს. ასეთია კანონი, რომელსაც გუშაგი ერთმნიშვნელოვნად განმარტავს და ასრულებს.

შეგახსენებთ, რომ სამხედრო ობიექტების მახლობლად დადგმულია გრაფიკული მაჩვენებლები, რომლებიც არეგლამენტებს მოქალაქეთა მიმოსვლას აღნიშნული ადგილების ახლოს. გთხოვთ დაიცვათ აღნიშნული მოთხოვნები.

დაბეჯითებით ვთხოვთ რესპუბლიკის მოქალაქეებს იყვნენ მშვიდად, გამოიჩინონ ტაქტი, თავდაჭერილობა სამხედრო მოსამსახურეებთან ურთიერთობაში, რომლებიც ასრულებენ სამხედრო ობიექტების დაცვის მოვალეობას, საკადრისი პასუხი გასცენ მოსახლეობის იმ მოქმედებაში ჩათრევის ცდებს, რომელსაც შეიძლება მსხვერპლი მოჰყვეს, გამოიწვიოს არმიასა და რესპუბლიკის მოსახლეობას შორის დაძაბულობის ახალი ტალღა.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველო.

ჭირს ტრანსპორტი...

დაძაბული ვითარება აფხაზეთში აი უკვე მეოთხე დღეა აფერხებს ტრანსპორტის ნორმალურ მუშაობას საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში.

18 ივლისის 11 საათისათვის ადგილობრივი დროით სოხუმის ვაგზლის ბაქნებთან კვლავ დგანან სამგზავრო მატარებლები „სოჭი-თბილისი" და „მოსკოვ-ერევანი", კელასურის სადგურში კი „ერევან-როსტოვის" შემადგენლობა.

— ყოველ ღონეს ვხმარობთ იმათი მდგომარეობის შესამსუბუქებლად, ვინც მოულოდნელად ექსტრემალურ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილემ ვლადიმერ ჯაფარაშვილმა. — მგზავრებისათვის, რომლებიც იძულებული არიან ვაგონებში იყვნენ, მოგვარებულია ცხელი კვება, მათ განკარგულებაშია ვაგონ-რესტორნები და სადგურის ბუფეტები.

ვითარება სწორდება რკინიგზის სამტრედიის განყოფილების სადგურებსა და გზასაყარებზე. აქ ბოლო დღეების მანძილზე თავმოყრილი შორი და ადგილობრივი მიმოსვლის სამგზავრო მატარებლები თანდათანობით ბრუნდებიან დანიშნულების საწყის პუნქტებში, კერძოდ, თბილისში. ისეთი შემადგენლობები კი, როგორიცაა „თბილისი-მოსკოვი" ბაქოს გავლით მიდიან. კვლავ რთული ვითარებაა ტვირთზიდვასთან დაკავშირებით. სადგურებსა და გზასაყარებზე დასავლეთ საქართველოში შუქნიშნების მწვანე სიგნალის მოლოდინში დგანან დიდძალი სატვირთო შემადგენლობანი.

— 18 ივლისს ნაშუადღევს კვლავ დაკეტილია შლაგბაუმები აფხაზეთისაკენ მიმავალ გზატკეცილებზე, — განმარტა შექმნილი ვითარება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ჩხეიძემ. — მესამედით გაიზარდა ავტობუსების რიცხვი, რომლებსაც მგზავრები ფოთიდან გადმოჰყავდათ აღმოსავლეთ საქართველოსაკენ, ზუგდიდსა და ქუთაისში. მატარებლების შეწყვეტილი მიმოსვლის გამო, რესპუბლიკის შავი ზღვის სანაპიროზე იძულებული გავხდით მგზავრები ზღვით მიგვეყვანა სოჭიდან ფოთში სწრაფმავალი სამგზავრო გემებით. ფოთიდან კი მათი გზა გაგრძელდება ავტობუსებით, რომლებიც უგანრიგოდ დადიან.

სოხუმში სამგზავრო ტრანსპორტი კვლავინდებურად არ მუშაობს...

— 18 ივლისის დილის პირველ ნახევარში სოხუმისკენ თბილისის აეროპორტიდან ჰაერში „იაკ-40" ცარიელი თვითმფრინავები ფრინდებოდნენ, — თქვა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ პალადი კაძანაიამ, — სოხუმიდან კი მათ თბილისში ისინი ჩამოჰყავთ, ვისაც უკვე რამდენი დღეა არ შეუძლია იქიდან მივიდეს დანიშნულების ადგილას სხვა ტრანსპორტით. სოხუმის აეროპორტიდან ამ დღეებში მგზავრებითურთ მოსკოვს გაფრინდნენ „ილ-86" და „ტუ-154" ლაინერები...

აფხაზეთში შექმნილი რთული ვითარების მიუხედავად, აქ ნორმალურად მუშაობს „საქენერგოს" სისტემის ყველა ობიექტი და ელექტროგადამცემი ხაზი. როგორც ამ სამსახურის მთავარმა ინჟინერმა რევაზ კარველაძემ თქვა, — უწესრიგობათა პირველსავე დღეს „კელასურის" ქვესადგურში, სოხუმის ზონაში, სცადეს შეეწყვიტათ ელექტროენერგიის მიწოდება ქალაქისა და ავტონომიური რესპუბლიკის რაიონებისათვის, მაგრამ ამის თავიდან აცილება მოხერხდა.

• • •

როგორ არის ახლა საქართველოს ტერიტორიაზე მოგვარებული საავტომობილო ტრანსპორტის მიმოსვლა? ვკითხეთ **რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსის მოადგილეს დავით წოწკოლაურს.**

— მიმოსვლა შეუფერხებელია ყველგან — ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის საგუშაგომდე, იქიდან კი, შექმნილი ვითარების გამო, აღარ ვუშვებთ იმათ, ვინც ჩაწერილი არ არის აფხაზეთში.

— მაგრამ ხმები დადის, თითქოს მილიციის კორდონი მანქანებს ლამის მცხეთაში აკავებდეს.

— აქ საქმე სულ სხვაგვარად არის, ბევრმა სხვაქალაქელმა მძღოლმა ხომ არ იცის, რომ ამ მომენტში ავტონომიურ რესპუბლიკაში ვერ ჩავა. ამიტომ ტრასის მთელ გაყოლებაზე შექმნილია დამატებითი საგუშაგოები. მათი მოვალეობა გაფრთხილონ ყველანი ამის შესახებ, აგრეთვე არ დაუშვან მოქალაქეთა ჯგუფების ორგანიზებული გამგზავრება აფხაზეთის ამბებში ჩარევის მიზნით.

— რესპუბლიკის დანარჩენი ტრასები მთლიანად ღიაა?

— ჯვრის უღელტეხილის გარდა, სადაც მთავრდება მეწყრებისაგან გზის გაწმენდის სამუშაოები. (საქინფორმი).

• • •

მოსკოვი. (საკდესის კორ.). აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში მომხდარი ამბების გამო რედაქციებში მოდის მშრომელთა შეკითხვები, დარღვეულია თუ არა სოხუმის აეროპორტის მუშაობა.

როგორც სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროში აცნობეს საკდესის კორესპონდენტს, ფრენა არ ყოფილა მხოლოდ 16 ივლისის დღის პირველ ნახევარში. შემდეგ იგი განახლდა და მას მერე საჰაერო ნავსადგური მთელი დღე-ღამის განმავლობაში მუშაობს, იღებს და გზავნის ყველა ტიპის თვითმფრინავებს. დროებით შეჩერებულია მხოლოდ მგზავრთა ავიაგადაყვანა სოხუმში, რადგან მეტისმეტად გაძნელებულია ავტოსატრანსპორტო მიმოსვლა აეროპორტსა და ქალაქს შორის.

მაგრამ, აეროფლოტმა გაითვალისწინა, რომ აეროპორტში სოხუმიდან გაფრენის ბევრი მსურველია და, დიდი ზარალის მიუხედავად, აფხაზეთის დედაქალაქში გაგზავნა სამი ცარიელი ილ-86 „აერობუსი" მოსკოვიდან და ლენინგრადიდან, აგრეთვე ხუთი ილ-62, ტუ-154 და ტუ 134 თვითმფრინავი ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან. მარტო 17 ივლისს ღამით სოხუმიდან 2 ათასზე მეტი კაცი გაემგზავრა.

გარდა ამისა, ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაობაში შეფერხებათა გამო დამატებითი ავიარეისები ეწყობა სოჭსა და ერევანს შორის.

სამინისტროს მონაცემებით, 18 ივლისს საღამოს სოხუმის აეროპორტში დაახლოებით 1800 კაცი იყო. მათ გასამგზავრებლად იქ დამატებით იგზავნება თვითმფრინავები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ავიასაწარმოდან.

უცხოეთში

საქდესი იუწყება

18 ივლისი

აირჩევენ პრეზიდენტს

ვარშავა. პაპ-ის სააგენტოს ცნობით, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე სეიმის მარშალმა გადაწყვიტა ეროვნული ერების სხდომა მოიწვიოს, 1989 წლის 19 ივლისს, რომელზედაც აირჩევენ ქვეყნის პრეზიდენტს.

მოკლედ

● ბონი. სისხლის სამართლის საქმეთა ფედერალური უწყების თანამშრომელთა მიერ კონფისკებულია 18 მილიონ მარკაზე მეტი ღირებულების 92 კილოგრამი ჰეროინი ავტოსადგომზე ქალაქ ჰოკენჰაიმის მახლობლად (ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარე). ამა წლის იანვარში აახენში 118 კილოგრამი ჰეროინის კონფისკაციის შემდეგ ეს ნარკობიზნესის წინააღმდეგ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიციის შედეგიანობის მიხედვით მეორე ოპერაციაა.

● ვარშავა. პოლონეთსა და ვატიკანის სახელმწიფოს შორის განახლდა დიპლომატიური ურთიერთობა ელჩების დონეზე.

ამასთან დაკავშირებით პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა პრესის საკითხებში ს. სტანიშევსკიმ განაცხადა, რომ ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის განახლება ახალ იმპულსს მიანიჭებს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და ვატიკანის დიალოგს.

ფოტოინფორმაცია

● ცნობილია, რომ ფინეთი განთქმულია თავისი მოთხილამურეებით, რომლებსაც მრავალგზის დაუმტკიცებიათ თავიანთი მაღალი ოსტატობა უმაღლესი საერთაშორისო დონის შეჯიბრებაზე.

და ამიტომ, ალბათ, გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარებოდა სათხილამურო ტრასების ისეთ „დიდოსტატს" როგორიც აჰტო მიეტოა (სურათზე). მაგრამ იმატრეში გამართულ უჩვეულო „რეკორდების ფესტივალზე" მას გაუჭირდა, ვინაიდან იქ თხილამურებით 800-მეტრიანი გარბენი გაიმართა... წყლის ზედაპირზე. საბოლოო ანგარიშით, სახელგანთქმული მოთხილამურე მხოლოდ მეორე ადგილზე გამოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდობას—სამაგალითოდ

საიდუმლო ხალხს დარჩა

მიტროფანე ლაღიძის დაბადების 120 წლისთავი

ლაღიძის წყლები... მეცხრე ათეული წელია იგი ჩვენი დედაქალაქის სავიზიტო ბარათის სამშვენისად იქცა. ამ დღეებში მადლიერი ერი სიყვარულით აღნიშნავს ხილის წყლების ჯადოქრის, საქართველოში უალკოჰოლო სასმელების სამრეწველო წარმოების ფუძემდებლის მიტროფანე ლაღიძის დაბადების 120 წლისთავს.

ვინ არ იცის ჩვენში ლაღიძეების საგვარეულო საიდუმლოს ლეგენდა, რომელიც, ჩვეულებრივ, ხილის წვენს ნექტარად აქცევს. მას ამ საუკუნის გარიჟრაჟზე მიეცა დასაბამი, როცა მიტროფანე ლაღიძემ საქმე წამოიწყო. ეს ლეგენდა დღესაც ცოცხლობს, როგორც ამ ღვაწლმოსილი კაცის განუმეორებელი პროფესიული დიდოსტატობის დასტური. რა მშვენივრად თქვა ეს პოეტმა ევგენი ევტუშენკომ:

Старик Лагидзе умирал,
как надо,
Бесслезноj **смерть приняв,**
как благодать,
С ним умирала тайна
лимонада,
И мастер знал — её не
передать.
А юноша, рискнув над ним
склониться,
«В чем Ваш секрет? —
спросил у старика,
И высунул, смеясь,
язык Лагидзе
И показал на кончик
языка.

დიახ, სწორედ ენის წვერი — მიტროფანეს საოცარი დეგუსტატორული ხელოვნება! მაგრამ — თქმა უნდა — არა მხოლოდ ეს! მთავარი „საიდუმლო“ მისი არაჩვეულებრივი კეთილსინდისიერება და ოპტიმალური ტექნოლოგიური რეჟიმების ზუსტი დაცვა გახლდათ.

მას არ ჰქონია უმაღლესი სპეციალური განათლება, თვითნაბადი ოქრო გახლდათ, მომადლებულმა ნიჭმა და ქუთაისში, პეტრე კოკოჩაშვილისა და ცეზარ ივანოვსკის აფთიაქთან არსებული ლიმონათის საამქროში მიღებულმა პრაქტიკულმა ცოდნამ მისცა დასაბამი ლაღიძის ფენომენს. 1900 წელს მან ლიმონათის დამოუკიდებლად წარმოება დაიწყო ქუთაისში.

ხილის წვენისა და ექსტრაქტებისაგან გაზიანი გამაგრილებელი სასმელების დამზადების წესი კარგა ხნის წინათ იყო ცნობილი. მაგრამ მაშინ, როგორც ჩვენში, ისე რუსეთში და საზღვარგარეთ, უალკოჰოლო სასმელებს უმთავრესად სინთეზური ესენციებისაგან აკეთებდნენ: ცოდნა ადამიანის ჯანმრთელობისათვის ხილისა და არაფერმენტირებული ხილის წვენის მნიშვნელობის შესახებ მეტად შეზღუდული იყო. თანაც სასმელების დასამზადებლად შედარებით ძვირი ნედლეულის გამოყენება სარფიანი არ იყო.

მიტროფანემ მთავარი ყურადღება იქით მიმართა, რომ უალკოჰოლო სასმელების მასობრივ წარმოებაში გამოეყენებინა ჩვენში უხვად არსებული მაღალხარისხოვანი ხილი. ეს კი, ეკონომიკურის გარდა, სხვა სიძნელეებთანაც იყო დაკავშირებული — მოითხოვდა ხილის წვენისა და სიროფის დამზადების არსებული წესების დაზუსტებას და გაუმჯობესებას, ადგილობრივი ნედლეულის სპეციფიკური თვისებების გათვალისწინებით. ზედმიწევნით ფრთხილად არჩევდა ნედლეულს მიკრორაიონების მიხედვით. მაგალითად, ქოლოს სიროფს ამზადებდა მხოლოდ ბაკურიანში გავრცელებული ხილ-კენკრით, რომელიც ძალიან სურნელოვანი და გემრიელი იყო, თუმცა ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოტანილი უფრო იაფი ჯდებოდა.

უალკოჰოლო სასმელების დამზადების წესების საფუძვლიანი გაცნობისა და ზოგიერთი გაუმჯობესებული ხელსაწყო-აპარატის შეძენის მიზნით საგანგებოდ იმოგზაურა რუსეთში, გერმანიასა და საფრანგეთში.

1906 წელს ლაღიძემ თბილისი „დაიპყრო“ — რუსთაველის პროსპექტზე, იქ, სადაც ახლა კავშირგაბმულობის სახლია, კარგად აღჭურვილი ლიმონათის ქარხანა გახსნა, მახლობლად კი მოაწყო მაღაზია, რომელიც არაოფიციალურად ახლაც მისი სახელობისაა. ეს აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის რჩევითა და დახმარებით გაკეთდა.

ლაღიძის წყლების სახელი უმალვე ფართოდ გახმაურდა. რაც მთავარია, ხელმისაწვდომი და საყვარელი გახდა ყველასათვის.

მართლაც ჯადოქარი იყო. სულ მცირედი ნიუანსების მიხედვით ინგრედიენტს ისეთნაირად შეარჩევდა, რომ პროდუქტი განსაკუთრებულ მომხიბლავ და გემოვან, სურნელოვან თვისებებს იძენდა. ამრიგად, ქმნიდა ისეთ კომპოზიციებს, რომლებსაც არაერთხელ დაუმსახურებია უმაღლესი ჯილდო საიმპერიო და საერთაშორისო გამოფენებზე.

მაგრამ მიტროფანე ლაღიძე არასოდეს შემოფარგლულა მხოლოდ თავისი საქმით. იგი გულმხურვალე პატრიოტი, ხელგაშლილი ქველმოქმედი და ფართო ინტერესების მქონე საზოგადო მოღვაწე გახლდათ. მხარის სამრეწველო განვითარებაში წვლილი შეიტანა მისი ინიციატივით აგებულმა დასავლეთ საქართველოში პირველმა ელექტროსადგურმა და ქუთაისის ახლოს, სოფელ ჟონეთის საბადოსთან ბარიტის მოპოვებამ (წინასწარი დამუშავებისა და გამდიდრების შემდეგ ბარიტი, რომელსაც საღებავების დასამზადებლად იყენებენ, პეტერბურგის და რუსეთის სხვა ქალაქებში იგზავნებოდა). მის მიერ დაარსებულ სტამბაში დაიბეჭდა მრავალი ქართველი მწერლისა და პოეტის თხზულება.



მატერიალურ დახმარებას უწევდა ყოველ პროგრესულ წამოწყებას. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების და დრამატული საზოგადოების აქტიური წევრი იყო. ფულით ხელს უმართავდა მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს.

ბევრის თქმა შეიძლება მ. ლაღიძის რევოლუციურ წარსულზეც. ჯერ კიდევ 1904 წელს მან თავის ქარხანაში შემოიღო რვასაათიანი სამუშაო დღე, რაც იმ დროისათვის მეტად იშვიათი მოვლენა იყო. აქტიურად მონაწილეობდა ქუთაისის ციხის გვირაბის გაყვანასა და რევოლუციონერების გაქცევა-გადამალვაში. ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას, მონაწილეობდა საიდუმლო კრებებსა და დემონსტრაციებში. მეფის მთავრობამ იგი სამჯერ დააპატიმრა, ადმინისტრაციული წესით ციმბირში გადასახლებაც კი მიესაჯა. მისი დახსნა მხოლოდ ილია ჭავჭავაძის ჩარევით მოხერხდა.

დიდი და შინაარსიანი ცხოვრებით იცხოვრა მიტროფანე ლაღიძემ. 91 წლისა გარდაიცვალა, მაგრამ ბოლომდე არ შეუწყვეტია ნაყოფიერი შრომა — კლარა ცეტკინის ქუჩაზე მდებარე უალკოჰოლო სასმელების ქარხნის კონსულტანტი იყო. მას თან არ წაუღია „საიდუმლო“, ყველაფერი თავის ხალხს დაუტოვა. ჯერ კიდევ 1949 წელს გამოსცა რეცეპტების წიგნი — „მაღალხარისხოვანი ხილეული წყლების წარმოება საქართველოში“, ხოლო 1953 წელს გამოქვეყნდა მიტროფანეს ვაჟის, დღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის რამაზ ლაღიძის მონოგრაფია „უალკოჰოლო სასმელების წარმოება“, რომელიც მამის დიდ გამოცდილებაზეა დაფუძნებული და, ფაქტობრივად, ამ დარგის პრაქტიკული სახელმძღვანელოა. 1930 წელს მისი ხელმძღვანელობით ხილის წყლების ქარხანა აიგო სოხუმში. 1934 წელს გაუმჯობესებული რეცეპტები გადასცა მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის ქარხნებს, სადაც საკონსულტაციოდ იყო მიწვეული.

არა, არაფერი დაუმალავს ხალხისაგან.

...გრიბოედოვის 9 — ამ ძველ თბილისურ სახლში გაატარა თავისი ცხოვრების ბოლო ორმოცი წელიწადი, ოცდაათიანი წლების დამდეგამდე აქვე პირველ სართულზე სიროფის დამამზადებელი საამქრო ჰქონდა. სასტუმრო ოთახში, სადაც ახლა ბატონ რამაზთან ვსაუბრობთ, დეგუსტაცია ეწყობოდა ხოლმე. ვინ არ მჯდარა ამ მაგიდასთან — არტურ ლაისტი, დიმიტრი უზნაძე, ირაკლი ტატიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, შალვა ნუცუბიძე, შალვა დადიანი, ტიციანი, პაოლო, გალაკტიონი... კედლებიდან ძველი ფოტოსურათები იყურება: აი, მიტროფანე ახალგაზრდობაში და ხანდაზმული, ოჯახის დიასახლისის ქალბატონ მზიას მამა-ბიძები — დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი სიკო ახმეტელაშვილი, რომლის ხელმოწერაც ამშვენებს დამოუკიდებლობის დეკლარაციას, ელჩი გერმანიაში ვლადიმერ ახმეტელაშვილი, გენერალი სტეფანე ახმეტელაშვილი...

მიტროფანე ლაღიძის შთამომავლობა მზრუნველად პატრონობს 90 წლის წინათ ჩაგდებულ ნერგს. ხომ ცნობილია „ლაღიძის წყალი“, ცნობილია „ლაღიძის ნახშირწყალბადებიც“ (ასე უწოდეს ამერიკელმა მეცნიერებმა რამაზ ლაღიძის მიერ მიღებულ ახალი კლასის ორგანულ ნაერთებს). სულ ახლახან ქიმიაში სადოქტორო დისერტაცია დაიცვა რამაზის ვაჟმა ჯუანშერმა.

პაპის გზას უშუალოდ გაჰყვა რამაზის ძმისწული. თორნიკე — იგი ტექნოლოგია და თბილისის უალკოჰოლო სასმელების ქარხნის კუპაჟის საამქროს ხელმძღვანელობს, სწორედ იმ საამქროს, რომლის კონსულტანტიც ამ 30 წლის წინათ მისი დიდი წინაპარი იყო და რომელიც საფირმო მაღაზიებს საგვარეულო რეცეპტებით შექმნილი სიროფებით ამარაგებს.

დინასტია გრძელდება!

...უკან დაბრუნებისას რუსთაველზე „ლაღიძეში“ შევიარე და ჩვეულებრისამებრ „ლიმონი“ დავლიე, ბატონი რამაზის გულნაკლულად ნათქვამი სიტყვები გამახსენდა — ბოლო ხანს გამოგონილი სახელწოდებების სასმელების მოჭარბების ტენდენცია იგრძნობა, უნდა აღდგეს ნატურალური ხილეული სიროფების დამზადების მიტროფანესეული ტრადიცია, რაც ძირეულად განაპირობებდა ამ სასმელების უნიკალურ თვისებებს, მათ სამკურნალო, დიეტურ და გემოვან დანიშნულებას.

და აქ ერთმა აზრმა გამიელვა: ახლა, როდესაც ასე წახალისდა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, კოოპერაციული მოძრაობა, უპრიანი ხომ არ იქნება ლაღიძეებმა კვლავ თავიანთ ხელში აიღონ „ლაღიძის“ წარმოება?!

ალეკო ასლანიშვილი.

მოვლენათა ქრონიკა

ნოდარ დუმბაძე — ბენგალურად

ტაშკენტი. მალე ინდოელი მკითხველები თავიანთი წიგნის მაღაზიების დახლებზე ნახავენ ბენგალურად გამოცემულ ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებს „მე ვხედავ მზეს“. წიგნი საკავშირო გამომცემლობა „რადუგას“ უზბეკეთის რესპუბლიკურმა განყოფილებამ გამოუშვა, რომელსაც მუდმივი კონტაქტები აქვს მეგობარი ქვეყნის უდიდეს გამომცემლობებთან.

(საკდესი).

▼▼

მეზღვაურთა დასვენებისათვის

ბათუმი. („კომუნისტის“ საკ. კორ.) სატვირთო ხომალდების დაცლას რამდენიმე დღე სჭირდება. ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ ხმელეთს დანატრებულმა მეზღვაურმა რა უნდა გააკეთოს? მათ ემსახურება ინტერკლუბები და მეზღვაურთა კლუბი, მცურავი შემადგენლობის პროფკავშირის კომიტეტის კულტბაზა, ბიბლიოთეკა, წითელი კუთხე, ვიდეოსალონი და დისკოკლუბი, სპორტული მოედნები. გარდა ამისა, იმართება „მრგვალი მაგიდები“, თემატური საღამოები, ექსკურსიები.

რეისში გასულ ხომალდებს კი ყურადღებას არ აკლებენ სახმელეთო კულტურულ-მასობრივი დაწესებულებები, ამარაგებენ კინოსურათებით, ვიდეოკასეტებითა და სხვადასხვა ლიტერატურით.

▼▼

სავაჭრო კომპლექსი „რიკოთი“

ხარაგაული. („კომუნისტის“ საკ. კორ.). თბილისი-ქუთაისის საავტომობილო ტრასაზე, ხარაგაულის რაიონის სოფელ ხუნევთან ამ დღეებში ამოქმედდა სავაჭრო კომპლექსი, რომელსაც „რიკოთი“ უწოდეს. იგი მოხერხებულ, საგულდაგულოდ შერჩეულ ადგილზეა აგებული. გარეგნულად მშვენივრად გაფორმებული შენობა შიგამოწყობილობითაც გამოირჩევა. არის სამრეწველო, სამეურნეო საქონლის, სურსათის, სამშენებლო მასალებისა და ავტონაწილების განყოფილებები. სავაჭრო კომპლექსი დაკომპლექტებულია ახალგაზრდა სპეციალისტებით.

შენობა ხარაგაულის რაიკავშირის ბორითის სოფლის კოოპერატივის თანხებით ააგო საქკოოპმშენის ზესტაფონის სამშენებლო უბანმა.

▼▼

წიგნები სათვისტომოსათვის

ზესტაფონი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ზესტაფონში წიგნის მოყვარულთა საზოგადოებამ შეაგროვა ქართველ კლასიკოსთა, თანამედროვე მწერალთა თხზულებები და საჩუქრად გაუგზავნა მოსკოვის ქართულ სათვისტომოს. მინი-ბიბლიოთეკა დედაქალაქში მცხოვრებ თანამემამულეებს დიდ სულიერ დახმარებას გაუწევს.

▼▼

ფიზიოლოგთა საზაფხულო სკოლა

გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინში, გამოჩენილი ფიზიოლოგის, აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის სამშობლოში, მუშაობა დაიწყო ნეირობიოლოგიის რესპუბლიკურმა სკოლამ. აქ თავი მოიყარეს მოსწავლეებმა რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან. ათი დღის განმავლობაში მათ თავის ტვინის ფიზიოლოგიის ლექციათა ციკლს წაუკითხავენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერები. აქ მეორედ ეწყობა მეცადინეობა, რაც ბავშვებს ეხმარება გაერკვნენ საინტერესო პრობლემაში, აირჩიონ გზა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მიიღონ სპეციალისტთა კონსულტაციები.

(საქინფორმი).



ბანაკი მთაში...

ვარლამ გენზიურის ფოტო.

რეპორტაჟი მთიანი ყარაბაღიდან

უბედურების ნიშნით

სტეფანაკერტი. (აზერბაიჯანის სსრ. 17 ივლისი. საკდესი). „ქვის“ ომი მთიანი ყარაბაღის გზებზე ამ დღეებში შესამჩნევად ჩაცხრა: შინაგანი ჯარების მობილური პატრულები ჯავშანსატანკო ტექნიკით და ავტომანქანებით ძირითადად აკონტროლებენ სიტუაციას საოლქო ტრასების უმნიშვნელოვანეს მონაკვეთებზე. ისინი წინასწარ აღკვეთენ ეროვნებათშორის შეტაკებებს, ფანტავენ საეჭვოდ თავმოყრილ ხალხს. მაგრამ მთელი საგზაო ქსელის საიმედოდ დაცვა შეუძლებელია...

მანქანა, რომლითაც შვებულებაში მიემგზავრებოდა ახლობლებთან საბჭოთა არმიის სომეხი პოდპოლკოვნიკი ბ. ოჯახთან ერთად, სოფელ მალიბეილისთან აზერბაიჯანელთა ჯგუფმა გააჩერა. დედ-მამას ბავშვების თვალწინ სცემეს, მოხვდა მძღოლ პრაპორშჩიკსაც. ისინი ჰოსპიტალში დააწვინეს ტვინის შერყევით და სხეულის სხვა მძიმე დაზიანებებით. მანქანას დაზიანებული აქვს ძარა, ჩამტვრეული აქვს მინები, ნამსხვრევებით დაშავდნენ ბავშვები, ხოლო იმაზე, თუ რა სტრესი გადაიტანეს მათ, ლაპარაკიც ზედმეტია.

ბავშვები, ქალები, მოხუცები — ყველაზე სუსტები და უდანაშაულოები ყველაზე ხშირად იჩაგრებიან ეროვნებათშორისი შუღლის აფეთქებისას. სომხეთის საქველმოქმედო საზოგადოება „გულმოწყალებას“ აწუხებს იმ სომხების ბედი, რომლებიც შუშის რაიონის სოფლებში კარიბტაგში, ცახკაძორში, ეგცაოკში, ბერდაძორსა და კიროვში ცხოვრობენ. ეს სოფლები მოწყვეტილია გარე სამყაროს, მათ არა აქვთ შესაძლო ბანდიტური თავდასხმებისაგან თავდაცვის საშუალებები. „გთხოვთ მიიღოთ ქმედითი ზომები მოსახლეობის უშიშროების უზრუნველსაყოფად“ — მოუწოდებს განსაკუთრებული რაიონის სამხედრო კომენდანტს საზოგადოების პრეზიდიუმი. მშვიდად ვერ გრძნობენ თავს აზერბაიჯანელებიც ოლქის სოფლებში, კომპაქტური დასახლების პუნქტებში. ვნებათაღელვა მეტისმეტად გამძაფრდა. სამიშ ზღვარს გადასცდა ეთნიკური შუღლი, რომელიც ნამდვილ მტრობად იქცა.

განსაკუთრებით მძიმეა ინტერნაციონალური ოჯახების მდგომარეობა, სადაც მშობელთაგან ერთი აზერბაიჯანელია, მეორე კი სომეხი. არც ერთი და არც მეორე მოკონფლიქტე მხარე არ ცნობს მათ მთლიანად თავისიანებად და მუქარას, წყევლა-კრულვას უთვლის, შეურაცხჰყოფს. განსაკუთრებული მართვის კომიტეტის თავმჯდომარესთან ა. ი. ვოლსკისთან მიღებაზე ბევრი ასეთი ადამიანი მოდის. ზოგიერთ ასეთ ოჯახს ქვეყნის საშუალო ზოლში გამგზავრება სურდა — მათ დაეხმარნენ, სხვები თავდასხმისაგან დაცვას ითხოვდნენ. საამისოდ ყველაფერი კეთდება, რაც კი შეიძლება, მაგრამ მილიციის მუდმივი საგუშაგოც კი სახლის კართან წინ ვერ აღუდგება გაუცხოებას, მოკვეთას, რაც ოჯახის ცოცხალ ორგანიზმს ორ ეროვნულად განსხვავებულ ნაწილად გლეჯს...

მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის მცხოვრებთა ბევრ სახლში ხის კარი ფოლადის კარით შეცვალეს, რომელიც უკეთ გაუძლებს ბრბოს შემოტევას, მაგრამ „სეიფ-ბინაშიც“ ვერ გამოეთიშები ცხოვრებას, ამიტომაც არ სძინავთ ღამ-ღამობით მამაკაცებს — ისინი ყოველნაირ ჩქამზე წამოხტებიან ხოლმე, რათა ქუჩაში გაცვივდნენ და მეზობლებთან ერთად შეხვდნენ მოახლოებულ საშიშროებას. ბევრს შინ მომზადებული აქვს დანა, ცული, კეტი, და უფრო სერიოზული იარაღიც. საკონტროლო-გამშვები პუნქტები გზებზე აზერბაიჯანელებსა და სომხებს ართმევენ იარაღს და თვითნაკეთ ასაფეთქებელ მოწყობილობასაც კი. ღამე დროის ყველაზე შფოთიანი დროა და ამიტომ ყარაულობენ დილამდე ქალაქელები, ფხიზლობენ სოფლად თავდაცვის საგუშაგო პოსტები. ჯარი ჯარია, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. დღისით ცხოვრება სტეფანაკერტში გარეგნულად ჩვეულებრივად მიმდინარეობს: ხალხი ქუჩებში გამოდის, მუშაობენ სასურსათო მაღაზიები, აფთიაქები, „სოიუზპეჩატის“ ჯიხურები, თამაშობენ ბავშვები. და მაინც ორი რამ — დაძაბულობა და ეჭვი — აშკარად ახასიათებს დღეს მთიანი ყარაბაღის მოსახლეობის ყოფას. და კიდევ ერთი — უბედურების მუდმივი მოლოდინი.

შინაგანი ჯარების ოპერატიული ჯგუფის შტაბს მთიან ყარაბაღში ქალმა მიმართა: მამა მატარებლით გაემგზავრა ბაქოში, მაგრამ იქ არ ჩასულაო. თურმე, ნაცემი მოხუცი მატარებლიდან ჩამოუსვიათ აზერბაიჯანის სსრ ქალაქ ბარდაში, იგი საავადმყოფოშია. ქალიშვილი ღელავს: მამა სომეხია, და იგი დარწმუნებულია, რომ მას არ უმკურნალებენ აზერბაიჯანულ საავადმყოფოში. მოითხოვს მანქანას დაცვის ოცეულით, რათა მოხუცი შინ ჩამოიყვანოს.

11 ივლისს ქალაქ სტეფანაკერტის მახლობლად მდებარე დაბა კირკიჯანში დაჭრილი აზერბაიჯანელი სამკურნალოდ შუშაში გაგზავნეს, ესაო და, ადგილობრივ საავადმყოფოში სათანადოდ არ დაეხმარებიანო.

დიდი ხანია უკვე შუშის ქუჩებში პრაქტიკულად ვერ შეხვდები სომეხს, ხოლო აზერბაიჯანელები სტეფანაკერტში ჩასვლას ერიდებიან.

ეროვნებათაშორის ურთიერთობაში გაჩენილმა ბზარმა უბედურების ნიშნით აღბეჭდა ცხოვრების ყველა მხარე. „მესამე დღეა რთული ვითარების, გზების ბლოკირების გამო შეუძლებელია ფოსტის ჩატანა ოლქის რაიონებში. გთხოვთ გამოყოთ სატრანსპორტო საშუალებები და რაზმები გადაზიდვის უზრუნველსაყოფად“, — მიმართავს განსაკუთრებული მართვის კომიტეტს მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის კავშირგაბმულობის საწარმოო-ტექნიკური სამმართველოს მთავარი ინჟინერი რ. ვ. მკრტიჩიანი. აი, თხოვნა აზერბაიჯანელთა მხრიდან: „გახშირდა კელბაჯარის რაიონთან კავშირის დაზიანების შემთხვევები. დაზიანებები არ სწორდება მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის კავშირგაბმულობის სამმართველოსადმი არაერთგზისი მიმართვის მიუხედავად. გთხოვთ ჩაერიოთ...“

ეს დეპეშები მთიან ყარაბაღში სიტუაციის გაუარესების უშუალო შედეგია. ბევრს აქ აღარც კი წარმოუდგენია ახლა, როგორ შეიძლება გზებზე სამხედროების თანხლების გარეშე მოგზაურობა. პურის ქარხანას საფუარი სამხედრო მანქანამ მიუტანა, რომლის ეკიპაჟი პრაპორშჩიკისა და სამი მეავტომატისაგან შედგებოდა. საოლქო ცენტრის ბაზარში სიცარიელეა: ბოსტნეულისა და ხილის გადაზიდვა რისკთან არის დაკავშირებული. თანაც სომეხი მოსახლეობა უარს ამბობს აზერბაიჯანიდან შემოტანილ სურსათზე.

საგანგაშო ატმოსფეროს ხმები ამძაფრებენ. სამხედრო კომენდატურაში, შინაგანი ჯარების ოპერატიული ჯგუფების შტაბში წამდაუწუმ გაისმის ზარი: თავს დაესხნენ სოფელს, მოკლეს კაცი, ბრბო დასარბევად ემზადება, ტყეში, მთაზე საეჭვო სინათლეები ჩანს. ჩვენ დაუყოვნებლივ ვამოწმებთ ყოველ სიგნალს, თუმცა დღე-ღამეში ასეთი სიგნალი რამდენიმე ათეულია ხოლმე, ამბობს საჯარისო ოპერატიული ჯგუფის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი ვ. ა. სკორობოგატოვი. ცნობების უმრავლესობა არ დასტურდება. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსახლეობა უკიდურესად აღგზნებულია და ადვილად აჰყვება ხოლმე ყოველგვარ დეზინფორმაციას, რომელსაც ავრცელებენ პროვოკაციული მიზნით ან მოუსაზრებლობით. ეს ყოველივე კიდევ უფრო ართულებს ვითარებას.

ახლანდელ ექსტრემალურ პირობებში თითქოსდა ყოველი მოქალაქე უნდა ავლენდეს უდიდეს თავშეკავებას, დისციპლინას, იმის გაგებას, რომ საჭიროა კომენდანტის საათის მოთხოვნების მკაცრად დაცვა. მაგრამ ზოგიერთ ემოციებს აყოლილ მოქალაქეს უნდოდა პარასკევს, 14 ივლისს სტეფანაკერტში უსანქციო მიტინგი მოეწყოთ. კარგია, რომ ეს ვერ მოხერხდა — რა დროს მიტინგებია, როცა საჭიროა საზოგადოებრივი წესრიგისა და სიმშვიდის აღდგენაზე ფიქრი?! მაგრამ არც ადამიანების ყოველდღიური თავშეყრა პარტიის საქალაქო კომიტეტთან საოლქო ცენტრსა თუ შუშაში, მთავარ მოედანზე, არ უწყობს ხელს ვითარების გაჯანსაღებას. აფეთქების მუხტს შეიცავენ ავტონომიური ოლქის და განსაკუთრებული რაიონის სხვა დასახლებულ პუნქტებში პერიოდულად წარმოქმნილი თავყრილობებიც, რომლებშიც ზოგჯერ რამდენიმე ასეული კაცი მონაწილეობს.

ვითარება ოლქში მკვეთრად გაუარესდა სწორედ მაშინ, როცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო სახალხო დეპუტატთა ყრილობის დავალებით ემზადებოდა მთიანი ყარაბაღის კომისიის შესაქმნელად. ასეთ დამთხვევას შემთხვევითს ძნელად უწოდებ: ძალიან დიდ ტერიტორიაზე ხდება მოვლენები. თვით მათი მსვლელობაც და დეტალებიც ადასტურებს ისეთი ძალების არსებობას, რომლებიც მიმართავენ არა მარტო ფსიქოლოგიურ პრესინგს, არამედ კონკრეტულ სამართალსაწინააღმდეგო მოქმედებასაც. ამ ძალებს არ ეპიტნავებათ მთიანი ყარაბაღის საკითხის კონსტიტუციური დახურვა და ცდილობენ ვითარების დესტაბილიზაციას, პარლამენტის კომისიის მუშაობის ჩაშლას. პარტიულ-საბჭოთა აქტივმა ვერ შეძლო მათი პოლიტიკისათვის წინააღმდეგობის გაწევა, რასაც საბოლოოდ ეროვნებათშორისი შუღლის გაჩაღება მოჰყვა. არადა, ოლქის მოსახლეობის საღად მოაზროვნე უმრავლესობა პრობლემის სწორედ მშვიდობიან, კონსტიტუციურ მოწესრიგებას უჭერს მხარს.

უდიდესი დატვირთვით მუშაობენ განსაკუთრებულ რაიონში სსრ კავშირის შინაგანი ჯარებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეგანაყოფები, რომლებიც თავიდან იცილებენ შეტაკებებს და იცავენ მართლწესრიგს. ოცდაათ გრადუსზე მეტი სიცხე, მტვერი, წყლის ნაკლებობა თავისთავად ართულებს სამსახურს. ამას ემატება მუდმივი ნერვული და ფიზიკური დაძაბულობა, ყოველდღიური გუშაგობა. ორი-სამი დღე-ღამე უძილობა, ომის ყველაზე მწვავე პერიოდში თუ უწევდათ ჯარისკაცებს. თანაც ისინი მოვალენი არიან მაშინაც კი შეიკავონ თავი, როცა ზოგჯერ გაუგებარ დამოკიდებულებას აწყდებიან იმათ მხრივ, ვისაც იცავენ.

მთიან ყარაბაღში მომსახურე საჯარისო რაზმის ჩვეულებრივი აღჭურვილობა შედგება ჩაჩქნების, ჯავშანჟილეტების, რეზინის ხელკეტებისა და რაციისაგან, უფროსს ავტომატი აქვს. ამ ამუნიციას მოსახლეობა შეეჩვია, ისევე როგორც ჯავშანსატანკო ტექნიკას გზებზე და დასახლებულ პუნქტებში. მაგრამ ვერტმფრინავები ჯერჯერობით იუცხოებათ, მეტადრე განსაკუთრებული რაიონის ისეთ შორეულ რაიონულ ცენტრში, როგორიცაა კელბაჯარია. ამიტომ ბევრი ბავშვი მოიზიდა სტადიონზე დაშვებულმა ვერტმფრინავმა. ერთმა იმათგანმა, ჰაერიდან რომ აკონტროლებენ მდგომარეობას დასახლებულ პუნქტებში და გზებზე, ოპერატიულად სხამენ დესანტს ცხელ წერტილებში.

ბავშვები აფრენის წინ მანქანისაგან გარეკეს და ისინიც სტადიონის ტრიბუნებზე დასხდნენ. მაგრამ, როცა ვერტმფრინავი მიწას მოსწყდა და აფრენა დაიწყო, გამოუსწორებელი რამ მოხდა. იგი გვერდზე გადაიქანდა, მაღალძაბვიან მავთულებს გამოედო და ჩამოვარდა. ამ ავარიის შედეგად, რომლის მიზეზებსაც იძიებენ, რვა ბავშვი დაიღუპა.

საბედისწერო შემთხვევა, გარემოებათა დამთხვევა... მაგრამ მაინც არ გვასვენებს აზრი, რომ ტრაგედია არ იქნებოდა, საჭირო რომ არ გამხდარიყო ეროვნებათშორისი კონფლიქტის შეკავება ჯარების მეშვეობით.

უფროსები რომ დროულად მოეგებოდნენ გონს და შეჩერდებოდნენ...

მოკონფლიქტე მხარეებს ჯერ კიდევ შეუძლიათ გონს მოსვლა, შესარიგებლად ხელის გაწოდება და მთიანი ყარაბაღის პრობლემის გადაჭრა მშვიდობიანი გზით, ბავშვებისა და მოხუცების, ქალებისა და მამაკაცების ახალი სისხლის დაუღვრელად, როგორც შეჰფერით ცივილიზებულ ადამიანებს.

ჭორი

კვამლი უცეცხლოდ

თბილისში ხმა გავარდა, თითქოს ახალქალაქის რაიონში ეროვნულ ნიადაგზე ინციდენტი მომხდარიყოს. ამასთან დაკავშირებით „კომუნისტის“ საკუთარმა კორესპონდენტმა ელგუჯა კოპაძემ გვაცნობა:

კვირას, 16 ივლისს, ახალქალაქში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამშენებლო რაზმის რამდენიმე წევრი და ადგილობრივი ახალგაზრდები ყოფით ნიადაგზე წაკინკლავდნენ, რამაც საფუძველი მისცა ჭორს.

18 ივლისს ახალქალაქში გაიმართა მიტინგი, რომლის მონაწილეებმა, ქართველებმაც და სომხებმაც, დაგმეს ახალგაზრდების საქციელი.

სატურნირო ორბიტა

● **ფეხბურთი.** გაიმართა სსრ კავშირის თასის 49-ე გათამაშების (1989-90 წლების) განმეორებითი მეთექვსმეტედფინალური მატჩები. თბილისის დინამოელებმა მეორე შეხვედრაც მოუგეს ნამანგანის „ნოვბახორს“ ანგარიშით 2:0 (პირველი მატჩი — 5:0) და მერვედფინალში გავიდნენ. ორ-ორი შეხვედრის ჯამით მერვედფინალში ითამაშებენ აგრეთვე მოსკოვის „დინამო“, „ფახთაქორი“, „როტორი“, „ცსკა“, მინსკის „დინამო“, „ჟალგირისი“, კიევის „დინამო“, მოსკოვის „ლოკომოტივი“ და „შახტიორი“. დანარჩენი მერვედფინალისტების ვინაობა უნდა გაერკვეს გუშინდელი მატჩების შედეგებს.

რიო-დე-ჟანეიროში დამთავრდა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი. „მარაკანას“ სტადიონზე გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ბრაზილიისა და ბოლივიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. ბრაზილიელმა რომარიუმ შეხვედრის 49-ე წუთზე ბოლივიელთა კარში გატანილი ბურთით გუნდს ჩემპიონის წოდება მოუტანა. ბოლივიელები მეორე ადგილს დასჯერდნენ. არგენტინელებმა ბოლო შეხვედრა პარაგვაელებთან ფრედ (0:0) დაამთავრეს. არგენტინელები გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით მესამე ადგილზე გამოვიდნენ.

● **თავისუფალი ჭიდაობა.** ტორონტოში (კანადა) დამთავრებულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ბრწყინვალედ იასპარეზა საქართველოს ნაკრებმა, რომელმაც ჯილდოდ მიიღო მთავარი პრიზი — „კანადის თასი“. პირად ჩათვლაში პირველ ადგილებს დაეუფლნენ ზურაბ ტატუაშვილი (52 კგ), ავთანდილ გოგოლიშვილი (82 კგ), მამუკა რაზმაძე (90 კგ), ლერი ხაბელოვი (100 კგ) და ზაზა თურმანიძე (130 კგ). ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ ეგია მუსოიანი (57 კგ) და ზაზა ტყეშელაშვილი (100 კგ). შამილ მაჰომედოვი (62 კგ) ტრავმის გამო გამოეთიშა ტურნირს, გოჩა გაბოძე (68 კგ) კი პირველი ოთხი გამარჯვების შემდეგ დამარცხდა და პრიზიორთა მიღმა დარჩა. რაც შეეხება დავით გობეჯიშვილს (130 კგ), იგი შეუძლოდ გახდა და ვერ იასპარეზა. საქართველოს ნაკრებს ხელმძღვანელობდნენ ვლადიმერ მესტვირიშვილი (უფროსი მწვრთნელი), გურამ საღარაძე და მარლენ ოსიყმაშვილი.

● **ჩოგბურთი.** იაპონიის ქალაქ ოსაკაში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე ლვოველმა ლარისა სავჩენკომ და პიტერ სემპრასმა (აშშ) შერეულ წყვილთა ფინალში დაამარცხეს ელენ კელესი (კანადა) და ჯიმ კურიერი (აშშ) — 6:3, 6:2.

● **ახალგაზრდული ასპარეზობანი.** რიგით მეოთხე ამ საკავშირო შეჯიბრებაზე საქართველოს ათლეტებმა თავისუფალ ჭიდაობაში გუნდური მესამე ადგილი დაიკავეს (196 ქულა). წინ გაუსწრეს უკრაინელებმა (225) და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა (223). ეს შეჯიბრება გაიმართა დონეცკში, დნეპროპეტროვსკში კი წყალსათხილამურო სპორტში საქართველოს სპორტსმენები მეოთხე ადგილზე გამოვიდნენ.

აჭარას — ჩვენი დახმარების ხელი

აჭარაში მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამ მთელი საქართველო შეძრა... დაიღუპა რამდენიმე ათეული კაცი, ერთბაშად განადგურდა წლობით ნასათუთარი. ჯერ იყო და სვანეთის ტრაგედიამ მოგვიკლა გული, დღეს კი კვლავ უსახლკაროდ დარჩნენ მამა-პაპეულ ფუძეზე მკვიდრად მოსახლენი. **საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი თავის მამულიშვილურ მოვალეობად თვლის ხელი გაუმართოს დაზარალებულთ.**

ამ მიზნით მატერიალური დახმარებისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩვენს მიერ საგანგებოდ მშენებარე საცხოვრებელი სახლების გარდა მთიანი აჭარის მოსახლეობას განუსაზღვრელი ვადით ვუთმობთ კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში არსებულ ყველა კოტეჯს.

მსურველებს ვთხოვთ ცნობებისათვის მიმართონ საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს. ტელ.: 99-04-67; 93-79-58.

ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან ხანმოკლე წვიმა, ელჭა-ქუხილი, დასავლეთის ქარი 5-10 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 23-28, მთაში 21-26, მაღალმთიანეთში 13-18 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ზოგან ხანმოკლე წვიმა, ელჭა-ქუხილი, შესაძლებელია სეტყვა, დასავლეთის ქარი 9-14, ალაგ-ალაგ 17-22 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 27-32, მთაში 25-30, მაღალმთიანეთში 20-25 გრადუსი.

თბილისში: დარი, ჩრდილო-დასავლეთის ქარი 9-14, გარეუბნებში 17-22 მეტრი წამში, ტემპერატურა — 30-32 გრადუსი.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

ტელევიზია—ოთხშაბათი, 19 ივლისი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.05—ნაშუადღევს. 15.50—საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ციკარა“. მხატვრული ფილმი „ოქროს რქები“. 17.20 — მოსწავლეთათვის „სტუმრად მუზეუმში“. 17.45 — ერთი მსახიობის თეატრი. გ. რჩეულიშვილი „სალამურა“ (გამორება). 18.15 — „სოფელი — გარდაქმნა, პრობლემები“. 19.00 — „მე თქვენი ხმა ვარ“ — ანა ახმატოვა (დაბადების 100 წლისთავის გამო). 20.00 — მოამბე. 20.35 — გარდაქმნის წახნაგები. 21.00 — „საესტრადო პანორამა“. 22.00 — ვრემია. 22.40 — „ახალგაზრდული ქართული კინო“.

მეორე პროგრამა 16.35 — მხატვრული ფილმი „შვილიშვილი იქნები“. 18.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 19.40 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მკვდარი ზღვის ველში“. 20.00 — მოამბე. 20.35 — გარდაქმნის წახნაგები. 21.00— „საესტრადო პანორამა“. 22.00 — ვრემია.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — 120 წუთი. 9.35 — მულტფილმები. 10.05 — კონცერტი. 10.50 — დოკუმენტური ტელეფილმი „ნდობით გამოცდა“. 11.20 — მოგზაურთა კლუბი. 12.20 — „ცისარტყელა“. ცეკვავს ერაყის ეროვნული ანსამბლი. 16.35 — მუსიკალური საგანძური. სსრ კავშირის კამერული ორკესტრის კონცერტი სსრკ სახალხო არტისტის ვ. ტრეტიაკოვის ხელმძღვანელობით. 17.15 — ფილმი ბავშვებს. „მალიავკინი და კომპანია“. I სერია. 18.20 — ისტორია და თანამედროვეობა. ისტორიკოსებისა და პუბლიცისტების შეხვედრა. 19.05 — მულტფილმები. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ნიკარაგუის ეროვნული დღესასწაულის — რევოლუციის დღის გამო. დოკუმენტური ტელეფილმი „მომოტომბოს ძირას“. 21.00 — ლიტერატურულ-მხატვრული ვიდეოარხი. I ნაწილი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ვიდეოარხის II ნაწილი. 0.15 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ფილმი. 9.35 — წყაროები. 10.10 — ლიტერატურული კითხვა. გ. ტროეპოლსკი. „შავყურა თეთრი ბიმი“. 10.45 — მულტფილმი. 10.55 და 13.30 — გერმანული ენა. 11.25 — ფილმ-კონცერტი. 12.00; 14.00 და 18.00 — ახალი ამბები. 12.10 — მხატვრული ტელეფილმი „შავი ზღვის ტალღები“. II სერია. 13.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 14.10 — ჩაიკოვსკის სახელობის VIII საერთაშორისო კონკურსის ლაურეატთა კონცერტი. 18.15 — აზერბაიჯანის ტელევიზიის პროგრამა. 19.00 — ფილმ-კონცერტი. 19.45 — მულტფილმი. 19.55 — „უკრა[illegible] სიმფონიური“. 20.30 — „დროებასა და საკუთარ თავზე“. ზ. სვეტლოვი. 20.45 — „ძილი ნებისა, პატარებო!“ 21.00 — სსრკ უმაღლესი საბჭოს სესია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ფილმი „მდიდარი ურნები“. II სერია. 24.00 — ახალი ამბები.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 ჰ 10441 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, [illegible] 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14